№ 10
1909

შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I—ყრმას,—ლექსი, დ. თოდაძეისა 3

II—გან კურნებული,—ლექსი ტისა 5

III—რთველი,—ი. ეგდრეშვილისა 9

IV—თამარის გვირგვინი, (ისტორიული შუმბერი), შ. ლეკ-
დაშვილისა 15

V—ლიეის გულის ნადები,—ივანეკლისა 20

VI—ამისთანა და ამის ფერესი,—(მეგრული ზღაპარი), ნ.
ჯანაშიასი 25

VII—კარტოფილი.—(თარგმანი) კანდეგიდისა 28

VIII—წმ. ეკატერინეს ჩიდრი.—(სუდან ლაშგრდეფლისა) ლ.—ძესი 35

IX—მიწის ძვრა,—ს. ბ.-ისა 56

XI—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ომის გაჩაღება და
ტროადელების გამარჯვება 55

X—გასართობი,—ა) ეგეთი საშუალება ესიამოვნების თა-
ვიდან ასაცილებლად,—ბ) რებუსი და ალნა 63

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

ოქტომბერი, 1909 წ.

№ 10.

საქართველოს სახელმწიფო
ეროვნული
ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ყრმას,—ლექსი, დ. თომაშვილისა 3

II—განკურნებული,—ცქვიტისა 5

III—რთველი,—ი. ევდოშვილისა 9

IV—თამარის გვირგვინი,—(ისტორიული შემეცნება), მ. ლეღაშვილისა 15

V—ლაჟოს გულის ნადები,—ივანელისა 20

VI—ამისთანა და ამის უარესი,—(მეგრული ზღაპარი), ნ. ჯანაშიასი 25

VII—კარტოფილი.—(თარგმანი) განდეგილისა 28

VIII—წმ. ვერონიკას ჩადრი,—(სელმა ლამერლეფისა) ლ.—ძესი 35

IX—მიწის ძვრა,—ს. გ.-სა 56

XI—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ომის განახლება და ტროადელების გამარჯვება 55

X—გასართობი,—ა) უებარი საშუალება უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად,—ბ) რებუსი და აღსნა 63

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრმას

230

აფუნჩული, ბამბის ქულა,
აკვანში წევს, ტკბილად სძინავს,
მის უმანკო ოცნებაში
ანგელოზი მიმოფრინავს!

უცხო მგზავრი, სასურველი,
თვით ნანატრი წვეულია
და ოჯახიც მასთან ერთად
ნეტარებას ჩვეულია.

ჰხედავთ—სძინავს, მაგრამ თვალებს
წამწამის ქვეშ დააცურებს,
ხან ღიმილი გადაურბენს
და ხან ტუჩებს აცმაცუნებს!..

გაიღვიძებს—სიამეა:
ანგელოზებრ მორთავს ენას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატიტინობს, დაფოთქინობს
და ეძლევა ალმა ფრენას.

უმანკოა,—ანგელოზი,
ანგელოზად გადმოსული
და უმწიკვლო, სარკესავით,
მისი გული, მისი სული.

მაგრამ, ყრმაო, თუმც წმინდაა
შენი გული, შენი თვალი,—
არვინ უწყის შენი ხვედრი
და ცხოვრების მომავალი!..

დ. თომაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განკურნებული

ქომხიბლავი მზე მოკამკამე ლურჯ ცის გუმბათზე მეტის სინაზით ნელა სცურავდა; განშორებისას ცეცხლის ფერ სხივებს თავის სამყაროს თავზე აფრქვევდა —ალამაზებდა: ჰკრთოდნენ ვერცხლის ფრად ვარდ-ყვავილზე სალამოს ცვარნი, ვით წრფელნი ცრემლნი, ბალახთა შორის ციმციმებდნენ სხივით მოსილნი; დუღდა წყაროც გულ-ამოსკვნილი, ჩუხჩუხებდა კლდის ნაპრალზე საამურად გადმოჩქეფილი. საიდუმლოებით სავსე ტყე-კი, როგორც მორთული პატარძალი მეტის სიამით იცქირებოდა და, ფრინველებით მოლხინებული, თვით სამოთხეს ედარებოდა. იმ სალამოს ფრინველთ იმ ტყეში დიდი ზეიმი ჰქონდათ გამართული. ჟივილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხივილი, სტვენა-გალობა სუფევდა წყაროს გვერდზე, კოცონის მზგავსად შენათებულ კლდის გარშემო. ყველა ლალობდა; თითქოს ბუნების სიმშვენიერე ყველა სულდგმულს ლხენით ავსებდა, ათამამებდა: ყველა მათგანიც თითქოს უნებლივ თავს ტურფად ჰგრძნობდა, ყველა სცდილობდა რაიმე მიმზიდველი თვისება თვალსაჩინოდ გაეხადა, მით მოეხიბლა დანარჩენთა ყურადღება და, იმ სიამით აღჭურვილი, სიხარულით ცას დასწეოდა. ნაზი ბულბული თვისის სტვენით არე-მარეს ტკბილად ულხენდა; მშვენებით სავსე ფარშევანგს თვისი მარაო მზის სხივებზე ათასფრად აეჭრელებინა და იქვე ბორცვზე ვით ბრძანებელი მეფე ლამაზთა მედიდურად იცქირებოდა; მძლავრი არწივი კლდის პირდაპირ მათ გასართობად, ცის სივრცეში ოქროს სხივებს ეთამაშებოდა. მოუსვენარი კაჭკაჭი იქვე მჯდომ გულ-ზვავ ყვავს თვის ეშმაკობით სიცილით ჰკლავდა, არ ასვენებდა. ოფოფს მეტის ეშხით თავზე გვირგვინი წამოედგა და იქვე მხარ-თეძოზე წამოწოლილ გმირ კაკაბს თავს აწონებდა, მოხდენილად ალმაცერად შესჩერებოდა. კლდეზე მჯდომი ძერა წყნარის ღიმილით ღონიერ კლანჭებზე მეტის სიამით იხედებოდა. მალხაზი ბელურეები იქვე რუს პირად თხილის ბუჩქზე შეხუნზლულიყვნენ და ჩამავალ მზეს დილა სისხამზე ტკბილის ჭიკჭიკით შეგებებას ჰპირდებოდნენ. ერთის სიტყვით, დიდი ამბავი სუფევდა ტყეში, ყველა ხარობდა, გულს ლხენით ინავარდებდა, გარდა პაწია ბრმა ჩიტუნასი, რომელიც ცალკე მათ მოშორებით წიფლის ფულუროს შეჰფარებოდა და იქიდან იმათ ზეიმს თითქოს ქურდულად თვალს ადევნებდა. ბოლო გაწეწილს ნაცრის ფერი ბუმბული ისე უშნოდ ამოსვლოდა, გეგონებოდათ, სამასხაროდ აქა-იქ ვისმე შეუსხამსო. ფრთა ჩამოსუსულს ცალი თვალიც დაბრმავებოდა და გრძელ ნისკარტთან ერთად რაღაც მასხარას წააგავდა. იჯდა ჩუმად, სულ-შეხუთული და თავის ვარამს წიფლის ფულუროს გულ-დაწყვეტით უზიარებდა:

—ნეტა ვიცოდე, ვის რად უნდოდი, რომ მახინჯი, უშნო, ულონო ქვეყანაზე ვიბადებოდი. ან რად მინდოდა ასეთი

გრძნობა, რომ ეს ჩემი სიმახინჯე შხამით მივსებს საბრალო-
გულსა. დეე, ვყოფილიყავ ქვეყნისათვის მხოლოდ მახინჯა,
დეე, ჩემთან შედარებით თავი ყველას გმირებათ ეცნოთ,
ოღონდ არ მეგრძნო მე მათი ზიზღი, არ მომდებოდა ყოვ-
ლად ულირსს, მათი შებრალებით, ცეცხლი სიმწარისა. ვგრძნობ
რომ შეგრისხავ შენი შეხედვით, ქვეყნის გვირგვინო, ფირუ-
ზო ცაო, ვგრძნობ რომ შევრისხავ ნათლით მოსილ დიდებულ
მზესა, ვგრძნობ რომ შევრისხავ ჩემთა მოძმეთ, გულ განავარდ
მალხაზ ფრინველთა, მაგრამ რა ვქნა, რა ბრალი მაქვს, რომ
ქვეყანას ნაზიც თურმე ჰსურს და მახინჯიცა. ვიწვი საბრა-
ლო, ცეცხლს მიკიდებს ეს ჩემი ყოფა; მსურს, ყოვლად ულირსს,
არ ვსუფევდე, არ ვარღვევდე, ჰოი ბუნებავ, შენს ჰარმონიას,
მაგრამ რა ვქნა, როცა უშნო სიკვდილისთვისაც, თურმე, საზი-
ზღარი ვარ.—ასე უჩუმრად მოუთხრობდა ბრმა ჩიტუნა წიფ-
ლის ფულუროს და თან გულ-ამომჯდარს წრფელი ცრემლები
მოკრძალებით ჩამოსდიოდა.

***

მზე ჩაესვენა, ფრინველთ ზეიმი უმალ შესწყვიტეს. მი-
ყუჩდა არე... ტყეს ჩაეძინა... სიზმართ მოიცვეს მთანი მდუ-
მარე. არ სძინავს იმავ პაწია ჩიტუნას, რომელიც შორს, ყვე-
ლასაგან მორიდებული, მაღალ ხის ტოტზე შემჯდარიყო და,
იმავ გრძნობით შეპყრობილი, რაღაცა ლოცვით ამომავალ
ღამის მნათობს შეჰღაღადებდა.

— მარტოდ მარტო ობოლი ვარ, შემითვისე, შემიწყნა-
რე, დიდ სულოვანო, ტკბილო ბუნებავ! შენის განგებით
წარმოშობილი ისე შემინდე, როგორც რომ დედამ ბედით
დაჩაგრულ საბრალო შვილსა. შენით მიდგია პაწია სული, მე
შენ მიყვარხარ, თუმც ულირსი ვარ, მაგრამ მეყოფა, შენ ნუ
მარგუნებ ამ მწვავე ზიზღსა.

— გულ-ჩათხრობილი, ნაღვლიანი მხოლოდ შენთვის ვარ,
მე შენ მიყვარხარ!—ჩამოსძახა ნათელმა მთვარემ და თვისი სხივი
გულს რომ მოჰფინა, იმ წამს გაჰკურნა.

— მიყვარხარ მუდამ,—ნუგეშით სავსე ხმით დაჰბერა გრი-
ლმა ნიავმა, თან ნაზი ხელით თავს მოეხვია, წრფელი ამბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ცრემლი შეუშრო და ვით აკვანი უმანკო ჩვილისა ტალტი ნელ-ნელა შეურხია, ნანა დამღერა.

— მე შენ მიყვარხარ, რადგან ეგ გრძნობა ძლიერია და წმინდაა ჩემს ტალღებზედა; მე შენთვის ვმღერი, რადგან ვიცი ღრმად მომისმენ, მითი დასტკბები და ამაღლდები. სამაგიეროდ დილა ადრიან, სულით მაღალო, ნისლის მსგავსად თავს მოგეხვევი, გულს დაგიკოცნი და შემდეგ ვით ზღვა თეთრი, ნარნარი გრძნობის ! ალხენად შორს გავცურდები.— ჩაუბუტბუტა იქვე მდინარემ და იმ ხის ფესვებს აღელვებულმა ტალღა-ტალღაზე ცელქად აწყვიტა. ხე მეტის გრძნობით ნაზად შეირხა...

— «გვიყვარხარო»—დასჩურჩულეს შეეერცხლილმა მისმა ფოთლებმა და ვითა ნუკრი, უსუსური გულს მიიხუტეს, ძილით ულხინეს.

სძინავს ჩიტუნას ზეციურ ძილით, ამ ტკბილის გრძნობით,—რომ ეს ბუნება საყვარელი მისი ყოფილა და ის კი—ბუნებისა.

ცქვიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი

ეხა-შხუ-შხა-შხუ! ამოდიოდა ქვევრიდან ხმა შხუილით. შიგ ჩვენი ონოფრე ჩამჯდარიყო და თავით ფეხებამდე ბატივით გაწუწული იქნევდა მკლავებს, ხან ქვევრის ერთს გვერდს გაუქნევდა „კრაზანას“, ხან მეორეს, ხან კი ამოჰყოფდა ხოლმე ქვევრიდან თავს, ამოისუნთქავდა, ჩაჰყლაპავდა ჰაერს და ისევ ქვევრში იმალებოდა.

— აბა, ბიჭებო, აბა, თქვენი ჭირიძეთ ჰა! დასძახოდა მამაჩემი ბიჭებს, რომელნიც ეზოში ფუსფუსებდნენ. ზოგნი გოდორს აბამდნენ ყურს, ზოგი კალათას რეცხდა და ზოგიც ცეცხლს უტრიალებდა.

— მი-ი-ი, მი-ი-ი! ისმოდა ამ აურ-ზაურში იქავე, დიდის ჯალიხ ქვეშ მიბმულის თხის ხმა, რომელიც დღეს უნდა დაეკლათ.

— უჰ, ამოისუნთქა ონოფრემაც და ამობობღდა ქვევრიდამ:

— აბა, შენ შეგერგება ნუნუა, აი! შესთავაზა ამხანაგმა, რომელიც მეორე ქვევრს ყელს უსუფთავებდა და თან მუხლზე დადგმულ ხელადას მოიყუდებდა ხოლმე.

— ძაან დავიღალე, ამის ზედაშის მადლმა! ეხუმრები ამოდენა ქვევრების დარეცხვას?—მიუგო ონოფრემ, ერთი ორჯელ ამოისუნთქა და ჩამოართვა ხელადა.

— ახლა კი დროა, ვახსენოთ ღმერთი! შემოილაპარაკა მამაჩემმა მარანში, მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და გასწია ვენახისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ჟივილ-ხივილით დაეერიენით ვაზებს. ასეფეთქა-ურობა და გაძახილ-გამოძახილი გვესმოდა მეზობელ ვენახებიდამაც.

— ასწი, ჰა, ჰაადე, აი ასე!

— მაშ, არა და შენა ბგეეარ!

— დაიკარგე, ქალაჩუნავ!

მოისმოდა ხუმრობა ყურძნით სავსე გოდრის აკიდების დროს და თან სიცილ-ხარხარი, თუ რომელიმე მათგანი მარჯვედ ვერ მოექცეოდა გოდორს.

— მაშ, როგორ გინდა შვილოსან, ი ნუნუას რო მიუჯდები ხოლმე და სწრუტავ და სწრუტავ!

— შენ კი აკლებ, აი, შენმა თავის მზემ!

ამ ხუმრობაში და ხმაურობაში კალათა კალათას მოსდევდა, გოდორი გოდორზე იგზავნებოდა მარნისკენ და ჩვენც თანდათან მივდიოდით წინ, უკან კი ცარიელი მოწყენილი ვაზები გვრჩებოდა.

— აი ეს აკიდო იმას, ვინც ერთ კუს მომგვრის, ვინც ორს მოიყვანს, ჩხას აუჭრი! მოგვიბრუნდა მამაჩემი მე და ნუცას, რომელიც ჩემთან ერთად ერთს კალათაში ჰკრეფავდა ყურძენს.

— მე ერთს გოდორს გაახლებთ, ბატონო! — შეგვეცილა ონოფრე.

— არა, ძმაო, შენ არ გენდობი, შინ წაასხავ, გაეხუმრა მამა ჩემიც.

— მე, მამა, მე, შენ გენაცვალე, კარგი დიდი აკიდო იყოს! ეხვეწებოდა მამას ჩემი და ნუცა.

— დიდი აკიდო იყოს და შენც დიდი კუ უნდა მომგვარო!

— რა ვქნა, რად გინდა კუ, გალიაში უნდა ჩასვა თუ?! გაეხუმრა დედაჩემი, რომელიც კალათით ხელში ჩამიჩს არჩევდა მტევნებზე.

მეტი ილაჯი არ იყო, უნდა დავფაცურებულიყავით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ნუცაც გავემგზავრეთ სანადიროდ. რამდენჯერმე ასეარ-ჩაუარეთ ვენახს, მივშინჯ-მოვშინჯეთ ბალახებში, მაგრამ ნადირი ვერსად ვერ ვნახეთ. გავედით ვენახის განაპირას და, ღვთის წყალობა თქვენ გქონდეთ, როგორც ჩვენ გავიხარეთ.

ერთი... ორი... სამი... აუარებელი, ხმაურობაზე ვენახს გამოსცლოდნენ და ღობის ძირებში მიკუნჭულიყვნენ. იმათში რომელიც დიდი იყო ის ამოვირჩიე. კუ ხან გამოჭყოფდა ხოლმე თავს სარდაფიდან, შემოატრიალებდა თვალებს უკან, შემომხედავდა და ისევ იმალებოდა თვის ციხე-დარბაზში.

მე უკვე ხელში მეჭირა ჩემი ნადირი, აღარც თავი უჩანდა, აღარც ფეხები. ნუცა კი ერთ მათგანს გაუბედავად აგორებდა ჯოხით კალათის პირისაკენ, როგორც იყო დაატუსაღა და გავქანდით მამაჩემისკენ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ეხლა კი გეკუთვნით აკიდოები!— შეგვაქო მამამ, მაგრამ დანარჩენთ სიცილი დაგვაყარეს.

ჩვენ კი რა გვენაღვლებოდა, ღობის ძირში ნადირი ბევრი იყო და ჩხა და აკიდოც—კაი ფასი ჩვენთვის.

მალე ვენახის შუაგული გავავსეთ კუს ქარავანით. ისინი ზოგი დარბაისლურად კისერ-გამოწვდილნი დასეირნობდნენ, ზოგი მთლად შემალულიყო სარდაფში.

— აბა, ივანე ახლა შენ იცი, როგორც მოუვლი ილოსა და ნუცას ნანადირევს,—უთხრა მამაჩემმა მეზვრეს, როდესაც გადმოხედა კუს ქარავანს.

— მე ვიცი და კიდეც ამოვიყრი მაგათ ჯავრს,—მიუგო ივანემ,—ამ ოხრებმა გააჩანაგეს წლეულს ვენახი, ერთი მტევანი აღარ გაუშვეს ვაზის ძირს შეუჭმელი. სამერმისოდ მაინც ჩამოვიხსნი!

ახლა კი მივხვდი, თუ მამაჩემმა რად გაგგზავნა ასეთ უცნაურ სანადიროზე. უნდოდა, ჯერ ერთი, თავიდან მოვეშორებინეთ, რადგან კრეფაში ყურძენს ვაფუჭებდით, მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეც ის, რომ უნდოდა კუთა ლაშქარი ივანესთვის ხელში ჩაეგდო დასასჯელად.

მართლაც, დიდი ხანი აღარ დააცადა ივანემაც, მიარბენინა ტომარა, ჩაჰყარა შიგ ჩვენი ნანადირევი, მოაკრა მაგრა პირს და წაიღო მარნისაკენ. აქ უნდა გადაწყვეტილიყო მათი დასჯა.

მოატანა შუადღემაც. სადილობის დრო იყო და, მამიჩემის განკარგულებით, ყველანი შინისკენ გავეშურეთ. აქ, მარნის ეზოში ბიჭებს აენთოთ დიდი ცეცხლი, შემოედგათ ზედ ქვაბი, რომლის ახლოც ეყარა ჩვენი საწყალი წვერ-ცანცარა თხის თავ-ფეხი და ტყავი.

მარნიდამ ეხლა უფრო მხიარული ხმა მოისმოდა. გავსწიე იქით: ონოფრეს, ნიკოს და თედოს გადაებათ მხარიმხარს, დაეკაპიწებინათ მუხლები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სცემდნენ ფეხს ნავში ჩაყრილ ყურძენს. ისინი მწყობრად ხან ერთ ფეხს ასწევდნენ ხოლმე ზევით, ხან მეორეს. ყურძნის წვენი კი ამ დროს ჩქაფი-ჩქუფით გამოდიოდა ნავის ძირიდან, ჩადიოდა ღარში და იქიდან წკრიალით ეშვებოდა ქვევრში.

— აბა, მაგრა! აბა, მარდად! ეი, ონოფრე, ბატივით კი ნუ ჰბაჯბაჯებ!—ხუმრობდნენ ბიჭები ნავში.

ენკენისთვე რო დადგება,
ვენახში გორავს კალათა;
ან თითონ დამცეს დასტური,
ან მოვიტაცებ ძალათა!

შემოსძახა პასუხად ონოფრემ, მას მიჰყვნენ ამხანაგებიც და ფეხების ჩქაფი-ჩქუფს ააყოლეს სიმღერა.

— აბა, თქვენს გამარჯვებას, ბიჭებო, აბა, გაისარჯენით, ჰა!—ამხნევებდა მამაჩემი, მაგრამ წაქეზება აღარ უნდოდათ, მუხლებს არა ზოგავდნენ; ხან-კი შედგებოდნენ, შეისვენებდნენ

ცოტა ხანს, მოირიგებდნენ იქავე ნავის ბაქანზე მდგომ ღვინის ხელადას და კვლავ შეუდგებოდნენ თავის საქმეს. ყურძნის წვენი კი შეუჩერებლივ ჩაწკრიალებდა ქვევრში.

— ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მასპინძელი, მისცეს ღვინო, პური ძველი...

ვერ დაამთავრა მოშაირე ნიკომ, როდესაც ივანემ დაღრეჯილის სახით შეატყობინა მამაჩემს სამწუხარო ამბავი: თურმე ივანეს დატყვევებულს ლაშქარს თავი გაენთავისუფლებინა და მიმალულიყო.

— მდევარი, მდევარი! დასცეს კიჟინა ბიჭებმა, ჰარიქა, ივანე, ბედაურს მოაჯექ! აახმაურა სიცილ-ხარხარმა მარანი. ივანე-კი ისეთი დაღონებული იდგა, თითქოს მართლაც მოსისხლე მტერი გაჰშვებოდეს ხელიდან.

ივანე კუზე ნადირობს
ყირიმის თოფით ხელშია,
ზოგი ღობეში შეუძვრა,
ზოგი გაექცა ტყეშია!

გამოლექსა უცებ ნიკომ, შეუწყეს სიმღერა და ჩააბეს ჩარფუზანა. ივანე-კი აქეთ-იქით აქნევდა თავს, მაგრამ ეხლა ის თვის დამარცხებაზე იმდენად აღარ ჯავრობდა, რამდენადაც ნიკოზე, რადგან იცოდა, რომ საღამომდე ეს ლექსი მთელს სოფელს მოედებოდა.

— ფიქრი არ არი, მეშრისამდე უფრო დაიზდებიან! — ანუგეშებდა მამაჩემი.

ივანე კუზე ნადირობს... და სხვ...

იმეორებდნენ ბიჭები და მათ სიმღერას ბანს აძლევდა ფეხების ჩქაფა-ჩქუფი, ყურძნის წვენის ნაკადული, რომელიც ქვევრში წკრიალით ჩადიოდა.

ხოლო მე და ნუცა მარნის კარებს უკან ჩუმად ვიკენინ-
დით ივანეს უბედურებაზე, რადგან ჩვენ ვიყავით ამის მიზე-
ზი. ჩვენ, ახალ აკიდო-ჩრხების მოლოდინში, ჩუმად გავანთა-
ვისუფლეთ დატყვევებული ლაშქარი...

ი. ევდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარის გვირგვინი

(ისტორიული შემეცნება)

სულ-მნათი დიდი თამარი
ტახტზე ზის დაფიქრებული;
მას ამშვენებდა ამალა,
სასახლე გაბრწყინვებული.
თან ახლდნენ დიდებულები,
მეუღლე დავით სოსლანი,
იქ იყო შოთა რუსთველი,
უკვდავი, სახელოვანი.

სუყველა მოკრძალებითა
თამარს უმზერდნენ ლხენითა,
არაფერს უბნობს თამარი,
რაღაზეც იყო წყენითა.

სასახლის კაცნი დაფიქრდნენ:
„უთუოდ ჩვენსა მეფესო
რაიმე სევდა აწუხებს,
საუბარ მოიეფესო...

თორემ თამარი ამდენ ხანს,
აბა, რად გაჩუმებულა?
შუბლი შეუკრავს შეჭმუხვნით,
მცირედაც დაღონებულა.“

წინ წადგა დიდი ვეზირი:
„მეფეთა მეფეთ ცხებულო!
შუქ-მფენო, მზეო, მნათობო,
ცისკარად მოვლინებულო!

უწყით, რომ შენი სასახლე,
ჯერ არასოდეს ჩვეულა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენს დალონებას, აგვიხსენ,
რისაგან გამოწვეულა?!
საგონებელში ჩავარდა
სუყველა დიდებულიო,
აღძარ ბაგენი, მოგვითხარ
ამბავი ღირსეულიო!
ღმერთმა დაგიხსნათ, თუ გელით,
რაიმე განსაცდელიო,
შესაწირავად მიიღე,
ჩვენი სიცოცხლე მთელიო!“
თავი აიღო თამარმა,
სასახლეს შუქი მოჰფინა,
ღრუბლიან ცაზე უეცრად,
თითქო მზემ გამოაბრწყინა!
„დიდ ხალხთა დიდი აზრები
სჩვევიათ, ასე თქმულაო,
ყოველი ერის დიდება,
ბრძენთაგან წარმოდგმულაო!
ვნახე რა უცხო ჩვენება,
საკვირველ-საოცარიო,
გიამბობთ, გამოცნობა კი
ხომ თქვენი ვალი არიო!
წუხელი ჩემსა საკანში,
თეთრად მოსილი ქალიო
შემოდგა გაბრწყინვებული
და მომაჩერა თვალიო!
მომმართა: „შენის გვირგვინის
ღირსი, ხარ მოიხმარეო,
სამი თვალი კი აკლია,
მის შოვნაც მოაგვარეო!..“
ეს სთქვა და გაჰქრა აჩრდილი,
საკანი ჩამობნელდაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა „სამი თვალი“ მაკლია?
მის ცნობა გამიძნელდაო!
მითხარით, დიდებულებო!
რას ნიშნავს მისი თქმულიო?
თუ რომ ამიხსნით, მიიღეთ
ჩემგან მადლობა სრულიო!..“
სასახლის კაცნი დაფიქრდნენ,
ჩავარდნენ საგონებელსა,
რა უპასუხონ მეფესა,
თამარსა, მათ მბრძანებელსა?
ზოგმა რა უთხრა, ზოგმა რა,
ზურმუხტ, იაგუნდ—ლალიო,
ზოგმა სთქვა: „აბა, ალმასის
რომელი არის ცალიო!“
წინ წადგა დავით სოსლანი,
გმირულის შეხედულებით:
„მეფეო! საფიქრებელი,
მგონი, არა გაქვს სრულებით!
საბრძანებელი დიდი გაქვს,
მრავალი ქვეყანებიო,
ვაჭრებსა მოვატაინოთ,
სამი ძვირფასი თვლებიო!“
ვერ გამოიცნო ვერავინ,
მეფე დაღონდა კვალადა. .
მის გამოცნობა მხოლოდა,
რუსთველმა იცო ვალადა!
მიესალამა მგოსანი:
„მეფეო, უძლეველოო!
შენ გმონებს ლეკეთ-სპარსეთი,
შენია საქართველოო!
ნუ გამიწყრები ეგ, თვლები,
გგონია, სასყიდელია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ხელთ-უქმნელი თვლებია,
მხოლოდ კი საშოვნელია!
პირველი—ობლის ცრემლია,
პატიოსანი თვალია
და, რომ შეუშრო მეფეო,
ეს არის შენი ვალია!..
მეორე—როცა მშრომელი,
ოფლსა ჰღვრის მოქანცულია,
თუ მოსავალი წაუხდა,
ჩაეთუთქება გულია!
უეცრად მუშის ჭირნახულს,
სეტყვა რომ გაანადგურებს,
მას ცრემლი გადმოვარდება,
როცა ამ სურათს უყურებს!
ის ცრემლიც ძვირი თვალია,
ხელის-ხელ საგოგმანები,
ვინც ანუგეშებს დაჩაგრულს,
იგია სათაყვანები!..
მესამე—როცა მგოსანი,
ხალხს ჰნახავს გამწარებულსა,
უსამართლობით დევნილსა,
ტანჯულსა, გაწამებულსა,
როდესაც ალარ ინდობენ,
ქალ-ვაჟთა, გინა ყმაწვილებს,
მაშინ მგოსანი ხალხის ჭირს
და ვარამს გაინაწილებს!
საერო ჩანგზე დაამღერს,
ერის საშველად ცხებული,
მაგრამ შეჰკოჭვენ მტარვალნი,
დარჩება გაოცებული.
საპატიმროში მგოსანი,
მწუხარედ აცრემლებული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის ცრემლი ძვირი თვალია,
ერისგან დამტკიცებული!..
სამივ ეს არის, მეფეო,
სათუთად მოსაპყრობიო!
თუ შეეგუე, გვირგვინი,
გექმნება შესამკობიო!...“
სახე გაბრწყინდა თამარის,
დაასაჩუქრა რუსთველი:
„შენა ხარ ქვეყნის დიდება,
შენით იხარებს ქართველი!...“

მ. ლელაშვილი





ღაჟოს*) გულის ნადები



ოველის ლონისძიებით რომ სცდილობდე ყურადღება მიიქციო და შენ კი ზედაც არავინ შემოგხედოს, დიალაც დიდი შეურაცხყოფაა. თავმოყვარე კაცი გულს გაიხეთქავს დარდითა, მაგრამ ჯერ ერთი, მე კაცი კი არა, მხოლოდ ჩიტი გახლავართ, და მეორე თუმცა გული მეც მიფეთქს მკერდში, მაგრამ ისე ვარ შეჩვეული ყოველგვარ უსამართლობას, რომ ამ გვარ წვრილმანისათვის თავს არ შევიწუხებ.

მართალი მოგახსენოთ, ჩემი ცხოვრება გამოსამზეურებლად როდი მინდა. ვისაც თვალი აქვს ხილვად, დაინახავს, როგორა ვშრომობ და ვწვალობ ლუკმა-პურის მოპოებისათვის, მაგრამ განა ბევრისთვის მიუცია ბუნებას თვალი ხილვად და ყური სმენად?!...

ვინ იცის, პირველად როდის მოფრენილა ჩვენს ტურფა ქვეყანაში ჩვენი გვარი? ვის აქვს ამისათვის ან დრო, ან მოცალეობა? მე მოგახსენებთ, რასაკვირველია, რომელთაც ამის გამოკვლევა შეუძლიათ, თორემ ჩვენებურს, იცოცხლეთ, დროც ბევრი ჰქონდეს და მოცალეობაც! მაგრამ რა ჩემი საქმეა სხვისა განკიცხვა?!

დიალ, იმას მოგახსენებდი, რომ ამ მშვენიერ ქვეყანას შევაფარეთ თავი, გავიხადეთ საყვარელ სამშობლოდ სხვა მრა-

*) იმერეთში ხაჟო.

ვალ ჩიტებთან ერთად, რომელთაგანაც ძლიერ განვსხვავდებით ჩვენის ყოფა-ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულობით. შთამომავლობით ბელურას მონათესავენი გახლავართ და ძალიანაც ვგევართ ბელურებს, რომელნიც ჩვენზე მორჩილნი არიან ტანით. სილამაზეს თუ მკითხავთ, ჩემო მტერ-მეგობრებო, რა მოგახსენოთ? ჩემის ფიქრით, ურიგონი არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია. როცა გამოდიხართ სათამაშოდ ტყის განაპირაზე, ბუჩქნარში, მინდორველში, დამაკვირდით და თითონა ბრძანეთ—ლამაზი ვარ თუ არა.

ამას კი თამამად ვიტყვი, რომ თვალი და სმენა კარგად მიჭრის. არასოდეს ჩემ მტერს ახლო არ მივიკარებ და ამ შემთხვევაში სხვა ჩიტებსაც დიდ სამსახურს უწევ ჩემის ჩხავილით, როცა რომელიმე ონავარი ფრინველი გამოინავარდებს ხოლმე ჩემკენ. ტყუილად კი არ მეძახიან გერმანელები დარაჯს! მართლაც დარაჯად უდგევარ ჩემს მეზობელ ფრინველებს. განსაკუთრებით მძულს ბუ, მიმინო, ალალი და მზგავსნი მათნი.

ხანდახან მოცლილი მონადირეც დაგვიპირებს ხოლმე მოკვლას, მაგრამ ხშირად ტყუილ-უბრალოდ ჰკარგავს თოფის წამალსა და საფანტს, რადგან სიახლოვეს არ ვიკარებთ და შორს თოფიც ვერას გვაკლებს. ამას წინად ერთი უსაქმო, მოხეტიალე მონადირე მიუახლოვდა ჩემს ჯერ კიდევ გამოუცდელ ბარტყს. მე მოშორებით ვიყავი და შევქენ ჩხავილი, რომ ჩემი პატარა გამეფრთხილებინა. ვერ მიხვდა უგუნური ჩემს გაფრთხილებას და ის იყო ამოიღო მონადირემ მიზანში და თოფს უნდა ეგრიალნა, მაგრამ გავექანე, ჩაუქროლე იმ ტოტს, რომელზედაც პატარა იჯდა, ვჰკარი მკერდი პატარას და, ჩამოვაგდე ტოტიდგან თუ არა, თოფმაც იგრიალა. ჩვენ ორივენი ბუჩქის ძირში გავინაბეთ და მონადირე პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წყეულიმც იყოს შენი სახელი! რა ოინი იხმარეთ, — მომაძახა და წავიდა თავის გზაზედ. იქვე ახლოს ბუჩქნარში მონადირე წააწყდა ჩემის სახლიკაცისაგან ეკალზე წამოცმულ ბელურას ბარტყს, თაგვს, ბაყაყსა და ბუზანკალს.

— არიქა, მოდით, ვინა ხართ პატრონი, რა ხდება აქაო, — წამოიძახა. სულ ცოტა ხანში შეიკრიბნენ ამ ბუჩქთან რამდენიმე ჩვენი სოფლელთაგანი და ძალიან გაოცდნენ.

— ვის წამოუცვამს, კაცო, ეს საცოდავები ეკალზე, ან რად აწვალებდა ის დაწყევლილი ამ საბრალოებს? — დაეკითხნენ ერთმანეთს. ის კი არა სცოდნიათ, რომ ეგ ჩვენი ოინი იყო. არც ის იცის ვინმე, თუ რისთვის ვაცვამთ იმათ ეკალზე. გავოცდი და დღემდე გაოცებული ვარ, რომ ასეთი ჭკვიანები, როგორც ადამიანები არიან, მუდამ ჩვენ გვერდით სცხოვრობენ და დღემდე ჩვენის ზნე, ჩვეულებისა არა იციან რა.

დიდსაც და პატარასაც უყვარს ჩვენის სახელის ხსენება, ხშირად მიმინოს მოსატყუებლად და დასაჭერად ჩვენ წაგვავლებენ ხოლმე ხელს და ის კი არ იციან, თუ როგორა ვცხოვრობთ.

აქედამვე გატყობთ, თქვე პატარა ცელქებო, რომ არც თქვენ მიცნობთ რიგიანად და დღეიდან მაინც იცოდეთ, ვინ არის ღაჟო, როგორ სცხოვრობს, რომ როცა გაიზდებით და სხვა და სხვა ქვეყნებში სიარულს დაიწყებთ, არ შერცხვეთ იმ ჩიტის უცოდნელობით, რომელიც თქვენს გვერდით იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. არ შერცხვეთ მეთქი, გიმეორებთ, რომ იზრდებით, ბევრს რასმე სწავლობთ და ის კი არ იცით, თუ ვინ არის თქვენი მტერი და მოყვარე იმ ცხოველთაგან, რომელთაც მუდამ დღე უყურებთ.

ჩვენი გვარი, მაგალითად, თქვენთვის სასარგებლოა და ამიტომ სხვებთან ერთად ჩვენც გვეკუთვნის თქვენი ყურადღება და სიყვარულიც-კი. მართალია, ხანდახან პატარა ფრინველებითაც გვიყვარს პირის ჩატკბანურება, მაგრამ ეს რა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმელია იმ აუარებელ კალიებთან, მატლებთან, ჭიაღუებთან, მინდვრის თაგვებთან, რომელთაც ჩვენ დღითი დღე ვაწყობთ ტყე-მინდორში? და ეს კი თქვენთვის სასარგებლოა, რადგან ყველა ეს მწერი თქვენის ხე-ტყისა და ჭინახულის მუსუსია. მართალია, ანგელოზები არც ჩვენა ვართ ზნეობრივად. ადამიანივით, ჩვენი გვარიც ძალიან გაუტანელია. ლაჟო არა თუ სხვა ფრინველს არ დაინდობს, თავისიანებსაც მტრულად ექცევა, მაგრამ თქვენ რა?

თავხედობაც ბევრი მოუნიჭებია ჩვენთვის ბუნებას, არა მარტო სიმამაცე. თავხედობაა მა რა ეშმაკია, რომ ხშირად მიმინოსა და ალალს შეევეტოქებით ხოლმე? ზოგჯერ ჩვენი ხერხიცა სჭრის, მაგრამ უმეტესად ისინი გვჯობნიან და თავსაც ვაგებთ. ბრძოლის დროს ისეთი თავის გამეტება ვიცით, რომ ყველაფერს ვივიწყებთ. აი, იმ დღეს ჩემი მეზობელი ლაჟო ბელურას ეძგერა, მოტაცებას უპირებდა, მაგრამ ისიც მამაცურად დაუხვდა და შეექნათ ომი ფიცხელი. ამ დროს, აბრამიანთ ნიკო მოდიოდა თავის ეზოსკენ და მივარდა გასაავებლად, სტაცა ლაჟოს ხელი და მოაცილა ბელურას. გალახული ბელურა ძლივს-ძლიობით წაფოფხდა და ლაჟო კი ნიკომ წაიყვანა, მაგრამ როგორღაც დაუძვრა ხელიდან და ჩვენთან მოფრინდა ისევ. სულ გე-გე-გეს იძახოდა სიცილის გამოსახატავად.—რა გაცინებს?—დავეკითხეთ.—რა მაცინებს და ის საბრალო ნიკო შეზარხოშებული იყო ნუნუათი, თორემ რას ვიხსნიდი თავს იმის ხელიდანაო,—გვიპასუხა.

მართლაც საწყალი ნიკო ლოთია. იმ დღეს ექიმთან ყოფილიყო და წამლები ამოეტანა. მერე კარგი ბიჭი მაინც არ იყოს ის ცოდვის შვილი! კაცი კი არა, მარგალიტია, თუ არ დათვრა, მაგრამ თუ დათვრა, მორჩა და გათავდა! მთელს ოჯახს კი არა, უბანსაც აიკლებს, სანამ არ გაბაწრავენ. დიალ, სიმამაცე, გამბედაობა და თავხედობაც კი ნიშნობლივი თვისება ჩვენის გვარისა. კვიმატი ხასიათიცა გვაქვს, დაცინვაც გვიყვარს და ამასთანავე ჭკუასაც ვიჩენთ. გამბედაობასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფრთხილეც ვიცით. გალობაში მაინცა და მაინც დახელოვ-
ნებულნი ვერ გახლავართ, მაგრამ ამ მხრივ ჩვენც არ ვჭი-
მავთ ფეხებს დიდს მგოსნებთან, ისე, ცოტა რამ ჭიკჭიკი ჩვენც
გვსმენია პატარა ფრთოსან მეზობელთაგან და იმათ მიბაძვით
ჩვენც, დედალ-მამალი განურჩევლად, ვგალობთ ჭირ-ვარამის
გასაქარწყლებლად. მადაც ყოველთვის კარგი გვაქვს, თუ საჭ-
მელმა არ გვიმტყუნა, მაგრამ აქაც კარგი ხერხი ვიცით. რო-
ცა მშივრები ვართ, იქვე შეეექცევით ნანადირევს და, თუ
გამაძღრები გახლავართ, დიდის მოხერხებით ვინახავთ საზრ-
დოს. რა ულუფაც გადაგვრჩება ხოლმე, წამოვაცვამთ ცო-
ცხლად ეკალზე. ცოცხლად იმიტომ, რომ არ დალპეს და
საჭმელი არ გაგვიფუჭდეს. მართალია, ეკალზე წამოცმულნი
წვალობენ, მაგრამ ჩვენ რა? სულ ერთია, დღეს თუ ხვალ,
ჩვენის კუჭის მსხვერპლად ხდებიან. ისიც უნდა გითხრათ, რომ
საჩივარიც ჯერჯერობით არავის შეუტანია ჩვენს საქციელზე
და, რომ იჩივლონ კიდეც, რას გაიტანენ?!

ივანელი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთანა და ამის უარესი

(მეგრული ზღაპარი)

ყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი. გაეტანა ამ გლეხს ერთხელ კავი და ხნავდა გზის პირად. უცბად მისმა კავმა მიწიდან ამოაგდო ოქროებით სავსე მოზდილი ქოთანი. მისდა საუბედუროდ სახნისმა ქოთანს პირი მოსტეხა. მწარედ დაღონდა ჩვენი გლეხი და ფიქრობს: „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე? ხომ დამკარგავს სულით-ხორცით ამის პატრონი, ქოთანი რად გამიტეხეო!“ ამ დროს დაინახა, რომ ვიღაც მღვდელი მოათოხარიკებს ჯორს. გლეხს გულზე ეფონა, ნაკურთხი კაცია და რაიმე შემწეობას აღმომიჩენს, დამარიგებსო. ფეხ ქვეშ ჩაუვარდა და ევედრება: „კეთილო მამაო, მოიღე ჩემზე მოწყალება და მიშველე რამე!“ და თან აუხსნა, თუ რა აწუხებდა. სიხარულით გაბრწყინვებული მღვდელი ჩამოხდა ჯორიდან, გასინჯა ოქროებით სავსე ქოთანი, დაამშვიდა შეშინებული გლეხი და უთხრა: „თუმცა დიდი ზარალი მოგიყენებია ჩემთვის, მაგრამ არა უშავს-რა. მიპატივებია შენთვის უნებლიეთი შეცდომა, მხოლოდ არავის უთხრაო. ეს ოქროები ჩემია. შეჯდა ჯორზე და გასწია. ის იყო ამ დროს გლეხს სადილი მოუტანა მისმა ცოლმა, და, რომ შეიტყო, რაც მოჰხდა, გამოეკიდა მღვდელს, დაეწია და სთხოვა: „ჩვენო მწყალობელო ბატონო, მამაო! რადგანაც ამისთანა სიკეთე უყა-

ვი ჩემს ქმარს, აპატიე დანაშაული, მუხლ-მოდრეკილ-ვთხოვ პურ-მარილი დაგვილოცოთ და მით ჩვენი ბედნიერება გაგვიორკეცოთო!“ მღვდელს ეამა, მით უფრო, რომ ჰშიოდა. დედაკაცმა გაუშალა სუფრა იქვე ხის ჩეროში საპატიო სტუმარსა და ქმარს და მშვენიერის ღვინით გაუმასპინძლდა. წინდაწინ ქმარი კი დაარიგა, ღვინოს დაერიდეო, მღვდელს კი აძალებდა და აძალებდა. ამასობაში მღვდელი კიდევაც დათვრა. „სულიერო შვილო, შენ ასეთი კარგი ადამიანი ყოფილხარ, რომ არ მინდა ჩემი ლოცვა-კურთხევის მადლი დაგაკლდეს: მინდა ხშირად შევავედრო შენი თავი უფალს, და მითხარი შენი სახელიო,“ ეუბნება მღვდელი. —ჩემი სახელი, ჩემო მწყალობელო, არის **ამისთანა**, ცოტა არ იყოს დარცხვენით უპასუხა დედაკაცმა.

— გვარი?

— **ამის უარესი,** ჩემო ხელმწიფევ.

მღვდელმა უბის წიგნში ჩაიწერა. ამასობაში კიდევაც დათვრა და იქვე მიეძინა. დედაკაცსაც ეს უნდოდა. სწრაფად მარცხენა ნახევარი წვერისა და მარჯვენა ნახევარი ულვაშებისა გაუკრიჭა, წაავლო ხელი ოქროებით სავსე ქოთანსა, გაირეკა ხარები და ქმარიანათ გაეშურა შინისაკენ. მღვდელს საღამო ჟამს გამოეღვიძა, და სად არიან ან დედაკაცი, ან მისი ქმარი, ან და ოქროები?. ფიცხლავ მოექცა თავის ჯორს ზურგზე და დაედევნა ცოლ-ქმარს. მიაქროლებს თავის ჯორს სასაცილოდ გაკრეჭილი მღვდელი და თან ყველას ეკითხება: „ესა და ეს ხომ არ გინახავთო?“ შეეხეჩა წინ ერთი კაცი და ეკითხება:

— მამაშვილობას გაფიცებ, მითხარი მართალი: ხომ არ გინახავს **ამისთანა**?

მგზავრი სიცილს ძლივს იკავებს და ამბობს:—**ამისთანა** არ მინახავსო!

— **ამის უარესი**?

— **ამის უარესი** კი უფალმა ღმერთმა ნურც მიჩვენოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ-შეწუხებულმა მღვდელმა ისევ განაგრძო გზა. ცოლ-ლა შეხვდა მეორე კაცი.

— თუ ღმერთი გწამს, მითხარი, **ამისთანა** ხომ არ გინახავს?

— არა, არ მინახავს ამისთანა,—იყო პასუხი.

— **ამის უარესი**?

— არც ამის უარესი და ნურც მიჩვენოს ჩემმა გამჩენმაო,—მიუგო მგზავრმა.

ახლა უფრო გაბრაზდა და თავის ჯავრს ჯორზე იყრის: საწყალ პირუტყვს სჩხვლეტს დეზებს და სჩხვლეტს. ოფლი წურწურითა სდის. შემოეყარა მესამე მგზავრი.

— შვილო, **ამისთანა** ხომ არ გინახავს?—ეკითხება.

— **ამისთანა** მეორეჯერ ღმერთმა ნუ მიჩვენოს,—და თან სიცილი ველარ შეიკავა და იცინის და იცინის.

— **ამის უარესი**?

— ამის უარესი არამც თუ მე, ღმერთმა ჩემს მტერსაც ნუ უჩვენოსო! მღვდელო, ხომ არ გადარეულხარ? რას გავ-ხარ? სარკე თუ ველარ გიშოვნია, წყალში ჩაიხედე და ნახავ, თუ რა სასაცილო გამხდარხარ!

ჩაიხედა წყალში და იმისთანა თქვენს ტერს, რაც მან სანახავი ნახა! შერცხვენილი და თან შეწუხებული მით, რომ თავის უგუნურობით ასეთი სიმდიდრე დაჰკარგა, თავ-ჩაღუნ-ული გაუდგა გზას.

გლეხი და მისი ცოლი დღესაც დიდებულად ცხოვრობენ.

ნ. ჯანაშია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტოფილი

(თარგმანი)

V

კარტოფილის ავადმყოფობა.

ართოფილი მეტად კარგი და გამოსადეგია ოჯახში, განსაკუთრებით მოუსავლობის დროს. მაგრამ მარტო კარტოფილის იმედით რომ დარჩეს მიწის მუშაკი, საშიშია. კარტოფილს ზოგჯერ ჭირი გაუჩნდება ხოლმე და ისე ძირიან-ფესვიანად გაანადგურებს, რომ აღარა რჩება-რა. იმ მხარეში, რომელიც ევროპის სხვა კუთხეთა შორის ყველაზე უფრო ადრე გაეცნო კარტოფილს, ესე იგი ირლანდიაში, ერთი კუთხეა, საცა უბრალო ხალხი, უნდა თუ არა, კარტოფილით იკვებება. 1846 წელს ძვირად დაუჯდა ირლანდიას ესა.

ირლანდია ერთი უუბედურესი მხარეთაგანია დედამიწაზე. იგი ერთს მშვენიერს კუნძულზედა სძევს, ინგლისის მახლობლადა და მეზობლად. ინგლისელებმა დაიმორჩილეს ირლანდიელები და მათი მიწა-წყალი თავიანთ შორის გაინაწილეს. წინანდელი მეპატრონენი მიწისა თავიანთ საკუთარ ადგილის მოიჯარადრეებად-ღა იქცნენ. ამას გარდა, ახალი ბატონ-პატრონები უფრო მსხვილ მოიჯარადრეებს აძლევენ თავიანთ მიწებს; ეს მოიჯარადრენი კიდევ თავის მხრივ სხვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ მოიჯარადრე მიწის მუშაკთ აძლევენ იჯარით. ეროვნული საიჯარო ფასს პირნათლად ვერ ისტუმრებს, უღვთოდ აძევებენ ადგილიდან.

ამაზე უარესიცა, ხდება ხშირად პირიან მოიჯარადრესაც შეუბრალებლად განდევნიან ხოლმე. მაგალითად, როცა ვინმე მსხვილი მოიჯადრე პირიანად არ იხდის ხვედრ გადასახადს, მიწის მეპატრონე ართმევს მიწასა და სხვას, ახალს მოიჯარადრეს აძლევს. ეს ახალი მოიჯარადრე კი ახლოსაც არ იკარებს თავის წინა მოადგილის წვრილს მოიჯარადრეებს.

— ის გაძლევდათ მიწასა და იმასვე გაუსწორდითო—ეუბნება იგი ძველ მოიჯარადრეებს,—მე კი ჩემი მოიჯარადრეები მყვანან... თუ მეტს მომცემთო!..

ან არა და:

— თქვენ უპირულ მოიჯარადრეს მთელის წლის ფული წინდაწინ მიეცით? მერე მე რას დავეძებ? ეგ იმას მოსთხოვეთ, მე კი ჩემი უკლებლად მომართვითო.

კიდევ უარესი გახდა მას შემდეგ, რაც მდიდარს მემამულე ინგლისელებს თავი მოაბეზრა მოიჯარადრეებთან საქმის დაჭერამა და ღარიბ-ღატაკთა ცრემლებმა. ბევრმა მემამულემ თავი მიანება ხვნა-თესვას, საქონლის დიდძალი ჯოგები გაიჩინა და მიწა სათიბ-საძოვრად აქცია. ფულისთვისაც ალარ აქირავებენ მიწასა. და მომიჯნავე-მოიჯარადრენი რომ ჰხედავენ, მიწას ბევრი მუშტარი ჰყავსო, თითონაც უმატებენ საიჯარო ფასსა.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ისე გაჭირვებით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ირლანდიელები ინგლისის მთავრობის ხელში, რომ მათს რიცხვს, არა თუ ემატება, აკლდება.

განსაკუთრებით გაჭირვებაშია ირლანდიელი ღარიბი, რომელსაც ღონე არ შესწევს, რიგიანი და ნაყოფის მომცემი მიწა აიღოს იჯარით. ესენი ან ქვიშიან ადგილის ნაკუწებს ჰქირაობენ, ან კიდევ ამგვარსავე ქვიან ადგილებს მთებში. იქვე ახლო-მახლო აგროვებენ ქვებს, იკეთებენ ქოხებსა და

თავიანთ ადგილის საცოდავ ნაჭრებს საკუთარის ხელით სწმენ-
დენ და აკეთებენ წერაქვითა და ბარით. სთესენ შვრიასა და
კარტოფილს.

შვრიის ფულით ისტუმრებენ საიჯარო გადასახადის ნა-
წილსა, დანარჩენის გასასტუმრებლად კი ღარიბებს ფუტკარი
ჰყავთ, ან უფრო ხშირად, ირლანდიელი ჰყიდულობს გოჭსა,
თავის ლუკმას—კარტოფილს იმას უზიარებს, ზრდის და შემ-
დეგ ჰყიდის. თითონ მთელის ოჯახობით იმ კარტოფილით
საზრდოობს, რაც ღორის გამოკვებას გადარჩება.

წარმოიდგინეთ, როგორ უნდა აეტანა ირლანდიელს ის
მძიმე დრო, როცა კარტოფილს მანამდე სრულიად უცნობი
სენი—სიდამპლე გაუჩნდა და მთელი ნათესობა ერთიანად გაა-
ნადგურა!

ამ საშინელ დროს განმავლობაში ირლანდიის მცხოვ-
რებთა ერთი მერვედი ნაწილი შიმშილისაგან ამოსწყდა. მე-
ორე მერვედი კიდევ ოკეანეს იქით, ამერიკაში გადავიდა.

აი რას გვიამბობს ერთი შეძლებული ირლანდიელი ამ
საშინელის სიღარიბისას.

თავისუფალი მთა ადგილები ბევრი იყო; დათესით კი მხო-
ლოდ კარტოფილი თუ დაითესებოდა. ათასში ერთხელ თუ
მოხდებოდა, რომ კარტოფილის მოსავლით გაფხვიერებულსა
და სანაქებოდ ნაპატივებს ადგილში შვრიის მოსავალს ევარ-
გნა.

ერთი დიდი ნაჭერი მიწა ავიღე მთაში და საკარტოფი-
ლედ მზადება დაუწყე: ვწმენდდი, ვაშრობდი, ვასწორებდი,
ვაპატივებდი... ორას კაცამდე ღლიური მუშა მყვანდა. სხვა
მოიჯარადრეებთანაც ბევრი, სხვა ქვეყნიდან მოსული, ხალხი
მუშაობდა. მაშასადამე, კარტოფილი ლუკმა პურის მოპოვე-
ბის საღსარს აძლევდა ღარიბ ხალხს მარტო მით, რომ ჩვენ
იმასა ვთესავდით.

ჩემი საქმე კარგად დატრიალდა. მიწას ფრინვლის სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთი („გუანოთი“)*) ვაპატივებდი და დიდძალი მოსაკალთა კარტოფილისა მოგებით ისტუმრებდა ჩემს ხარჯსა. ჩემის ბაღით გაკვირვებული იყო ყველა, ვისაც კი ენახა. ჩემს ადგილსა და აგრედვე მის მახლობლად მდებარე თავდალმართ ფერდობებს „ბედნიერი ხეობა“ უწოდეს.

და, აი, ამ „ბედნიერს ხეობას“ წილად ჰხვდა „ცრემლის ხეობად“ გადაქცევა.

პირველს აგვისტოს 1846 წელს ამბავი მომივიდა, რომ მთელს ოლქში სულ ერთიანად ჩამოსჭკნა კარტოფილის ნათესობაო. ამბობდნენ, ვითომ კარტოფილის დამპალი ღეროები საშინელს მყრალ სუნს ავრცელებს და მცენარე ფუჭდებაო.

საშინელებამ მოიცვა მთელი მხარე.

მე საჩქაროდ გავსწიე ჩემის მთისაკენ, საცა კარტოფილი მქონდა დათესილი ვნახე—ბაღი მშვენივრად ჰყვაოდა. ფოთლებისა და ღეროების მწვანე ფერი კარგს მოსავალს მიქადდა. სუნიც არაფრისა იდგა.

მთიდან დავეშვი და ბარში ნათესობისაკენ წავედი .. აქ ბევრს ბაღში ჩამომჭკნარიყო ფოთლები. ყოველს ადგილას საოცარი მყრალი სუნი იდგა. რამდენიმე ძირი კარტოფილი ამოვთხარე. ყველა გაშავებული და დარბილებული იყო. ერთის სიტყვით, ლპებოდა. ზოგ ადგილას ფოთოლ-ღეროები ჯერ ისევ მწვანე იყო, მაგრამ შორიდანვე საძაგელი სუნი მოდიოდა.

— ნეტავი მთა მაინც გადარჩებოდეს! ვფიქრობდი გულგაშფოთებული და ყოველ დღე ვათვალიერებდი ამ ადგილებს. საღი და მშვენიერი მწვანე მცენარე დიდხანს მახარებდა ძველებურად.

---

*) „გუანოს“ აგროვებენ უმთავრესად ზღვის კუნძულებსა და კლდეებში რომელნიც სავსე არიან ფრინველთა ბუდეებით. ამ კლდეებს ამიტომაც ეწოდა „ფრინველთა მთა“. ბევრი დაწვრილებითი ცნობა ამის შესახებ მოიპოვება ქ-ნ მ. სლეპცოვას წიგნაკში: «ნორვეგიის ამბები».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთხელ მთაში მივდიოდი. უცბად ჩალაც სუნი ვიგრძენ. ყოველის კარტოფილის ბაღჩისათვის ეს სუნი სასიკვდილო განაჩენი იყო. მიუახლოვდი ბაღსა. სუნი თანდათან აუტანელი შეიქმნა... მაგარი ღეროები და ფოთლები კი ისე გამოიყურებოდა, თითქო აქ არაფერიაო. უკვე ვიცოდი, რომ მცენარე მატყუებდა. ჩემი კარტოფილის ბაღები ეხლა ერთ გროშსაც აღარ მომცემდა... მთელი ჩემი შრომა, მთელი ამოდენა ხარჯი დაჭლუპა, შთანთქა ამ საშინელმა უცნაურმა უბედურებამ!

მართლაც ღეროები მალე ჩამოსჭკნა, ფოთლები ჩამოსცვივდა. ავადმყოფობამ კარტოფილამდე მიაღწია.

მაგრამ მე ჩემი მწუხარება დამავიწყდა, როდესაც ჩვენი ოლქის წვრილ მოიჯარადრე ღარიბთა ვაება ვნახე. მათთვის მარტო აოხრებისა და გატიალების დღე კი არა, არამედ შიმშილობის დღე დადგა. ერთად ერთი იმათი საზრდო ხომ კარტოფილია!

ეს უბედურება მოულოდნელი იყო; ღარიბთა სარჩო ერთბაშად დაიღუპა. ვერაფრის მოგვარება ვერ მოახერხეს, რომ ხალხი შიმშილს გადაერჩინათ, და შიმშილიც საშინელის მძინვარებით გავრცელდა.

როდესაც მთავრობა საზოგადო სამუშაოები მოაწყო, რათა დამშეულს ხალხს ფული ეშოვნა, გზების სწორებასა და ქედთა გადათხრას რომ შეუდგნენ, უკვე ისე დასუსტებული იყო ხალხი, რომ შრომა ველარ შესძლო!

ჩვეულებრივის სამუშაოს ნახევრისა, ან მეოთხედის გაკეთებაში მთელს საქმის ღირებულებას აძლევდნენ, მაგრამ დასუსტებული და ღონე გამოლეული ხალხი მაინც იხოცებოდა.

გამართეს სამზარეულოები, საიდანაც წვნიან საჭმელს აძლევდნენ, გაჰგზავნეს ირლანდიაში დიდძალი პური, მაგრამ ეს საკმაო არ იყო.

განსაკუთრებით საშინელს წამებას განიცდიდნენ შორეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთითა ოლქები. იქ მამაკაცები, დედაკაცები და ბავშვები ერთ-ლიად უპატრონოდ იხოცებოდნენ თავიანთ ქოხებსა და მინ-დვრებში, იხოცებოდნენ გზებზედ, ღონე აღარა ჰქონდათ ქა-ლაქამდე მიღწევისა. ზოგი, როგორც იყო, ახერხებდა ქალა-ქამდე მისვლას საჭმლისათვის... მაგრამ ქუჩებში იხოცებოდ-ნენ. ზოგი სასოწარკვეთილებას მიცემული ოჯახი, რაკი ჰხე-დავდა, ხსნა აღარსაიდან არისო, ხმა-ამოუღებლივ ელოდებოდა შიმშილით სიკვდილს!

ყველა ეს ხმები ჩემამდე აღწევდა. გასაწყლებული ხალ-ხი მწარედ იტანჯებოდა: ასევე სასტიკად იტანჯებოდნენ ჩემს ახლო მყოფნიც, მაგრამ ტანჯვასა და შიმშილით სიკვდილს შუა დიდი განსხვავებაა! ჩემამდე მოსული ამბები მეტად სა-შინლადა და დაუჯერებლად მეჩვენებოდა. შევკრიბე ამხანა-გები და გადავწყვიტეთ წავსულიყავით შორეულს ოლქებში „დამშეულებთან“ იმ იმედით, რომ რაიმე დახმარება აღმო-გვეჩინა. წავედით.

დამშეულ სოფლებამდე კიდევ სამი-ოთხი საათის სასია-რულო გზა გვქონდა დარჩენილი, რომ ქუჩაზე მოთამაშე ბავ-შვებს ველარა ვხედავდით. მისუსტებული და ავადმყოფი ბავ-შვები თავთავის ქოხის კარებიან იყვნენ ჩამომსხდარნი.

აი, მივედით ყოვლად უბედურს უბანში. ასობით მშიერ-ნი შემოგვეხვივნენ გარსა. ბევრს მომაკვდავი შვილი ჰყავდა ხელზე გადასვენებული.

ერთს სახლში შევედით. ჩვენთან ექიმი იყო.

— შეჰხედეთ—გვითხრა ექიმმა.—ვინ იფიქრებს, რომ ეს ბავშვი ცოცხალია?

ექიმმა ლოგინიდან აიყვანა რაღაც ტყავ-გადაკრული ძვლები. ფეხები ჩვრებივით ეკიდა.

— ასეთი ბავშვები ბევრია აქა. ახლა რაც უნდა ეცა-დოთ, როგორც უნდა ასაზრდოვოთ, ეგენი ერთს თვესაც ვე-ღარ იცოცხლებენ. მაგათ „შიმშილის ციება“ სჭირთ. ეს ცი-ება უჯიათია. სიკვდილის კარამდე მიჰყავს ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სახლში შევედით. დედ-მამა შინ არ ყოფილან. ბაშა სამუშაოდან დაბრუნებულიყო სახლში და სისუსტით გზაში მომკვდარიყო. დედა წავიდა საჭმლის საშოვნელად. დედის შინ არ ყოფნის დროს მოკვდა უფროსი, ჩვიდმეტის წლის, ვაჟი. პაწაწა ბავშვი კუთხეში იდო მკვდარი. იქვე ორი ბავშვი ძლივს-ღა ითქვამდა სულსა. უკვე ოთხი დღე იყო თურმე, რაც მხოლოდ მოხარშულ შვრიით იკვებებოდნენ.

მესამე სახლში მთელი სახლობა—დედა, მამა და ხუთი შვილი შიმშილის მეოხებით ნელ-ნელა ესალმებოდნენ წუთი სოფელს.

ამ სოფლის მცხოვრებნი ვანუგეშე, ქალაქიდან მოაქვთ თქვენთვის პური მეთქი და ახლა სხვა სოფლისაკენ წავედით. ამ სოფელშიაც ისეთივე სურათი დაგვიხვდა. აქ კუბოები აღარ ჰყოფნოდათ მკვდრებისათვის, დურგალს აუარებელი კუბოები ჰქონდა გასაკეთებელი.

ქუჩის ერთს კუთხეში ორი კუბო დავინახე „ღარიბთათვის.“ ამ კუბოების ძირი ერთის მხრით რკინის კოჭებით იყო მიმაგრებული, მეორეს მხრით ჩანგლით. მიცვალებულს ჩასდებდნენ ამ კუბოში და ერთს დიდს საერთო სამარეში ჩაუშვებდნენ. აქ ჩანგალს გამოსხლეტდნენ, მკვდარი კუბოს ძირიდამ ქვემოდ ჩავარდებოდა, ხოლო კუბო ისევ ზემოო ამოჰქონდათ, რომ ამით საერთო სასაფლაოზე კიდევ მიეტანათ მეორე მკვდარი, მესამე, მეოთხე... და ასე უანგარიშოდ.

სხვა სოფლებში ასეთი კუბოებიც კი მიუწვდომელ დიდებად ითვლებოდა. მიცვალებულნი მთელის კვირაობით ეყარნენ იქვე, საცა სიკვდილი მოასწროებდათ. დედებს მკვდარ შვილთა გვამები მხარზე გადებული მიჰქონდათ საერთო ორმომდე. ეს ორმო-სამარე ითხრებოდა მინდვრებში, ბოსტნებში.

ეს საშინელებანი შესაძლებელია სხვა საშინელებაზე უსაზარლესნი არ იყვნენ, მაგრამ სხვა საზარლობისა აღარა მინდა რა ვთქვა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალ, კარტოფილის მოუსავლობამ დიდძალი ხალხი გააბა-სტუმრა საიქიოს. და კიდევ უფრო მეტი გაისტუმრა ოკეანეს იქით, შორეულს ამერიკაში. ამერიკაში წავიდა ხალხი პურისა და სამუშაოს საძებრად. შიმშილობის წელიწადს შემდეგ, დიდმა ხანმა განვლო, რომ წელში ვერ გაიმართა ხალხი. კიდევ რამდენსამე წელიწადს უთავშესაფაროდა და უარაროდ დაწანწალებდა ჩვენი მათხოვრად ქცეული, სნეული და ღატაკი ხალხი.

ერთმა მეტად მდიდარმა მემამულემ გამოაცხადა, ყველა ღარიბს, რომელიც კი ჩემს ადგილებზე დგას, მახლობელ ქალაქის სამადლო სახლში შევინახავ ჩემის ხარჯითაო.

რაკი მეც დაზარალებული ვიყავი კარტოფილის სენითა, მეურნეობისათვის თავი უნდა გამენებებინა. ასეც მოვიქეცი და მოურავად დავდექი ამ მდიდართან.

— თქვენ რომ ყველა ღარიბნი არჩინოთ, ამას მამული ვერ აიტანს—მოვახსენე ჩემს ბატონსა.

— მაშ, შიმშილს ხომ ვერ მივუგდებთ ამოსაწყვეტად.

— დიალ, მაგრამ თქვენ თქვენის ხარჯით გაჰგზავნეთ ყველა ამერიკაში წასვლის მსურველი. ყველას მიეცით ცოტ-ცოტა, რომ იქ მოეწყონ.

— რას ამბობთ, მაგას უანგარიშო ფული უნდა.

მე და ჩემმა ბატონმა ვითათბირეთ ამ საქმეზე. აღმოჩნდა, რომ უფრო ადვილი იყო ერთგზობისად მისცემოდათ საგზაო ხარჯი, ვიდრე წლითი-წლობით ერჩინა საცოდავ ღატაკთა ბრბო ქალაქის თავშესაფარში.

ჩემი ახალი ბატონი, არა თუ მარტო მდიდარი, ამასთანავე კაცთმოყვარეც იყო. დაუყოვნებლივ გამოიღო ასი ათასი მანეთი, ამერიკაში წამსვლელ ღარიბთათვის სამგზავრო ხარჯად.

თავშესაფარში მყოფთ გამოუცხადე ეს ამბავი. პირველად არავინ დაიჯერა ჩემი სიტყვა. მაგრამ როცა დარწმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ყველამ მოინდომა წასვლა. ამერიკაში იმ დროს მუშა ხელი ნაკლებად იყო და შრომის ფასს კარგს აძლევდნენ.

ყოველს კვირაში ორას კაცსა ვგზავნიდი. წლის გასულს თავშესაფარში სამოცზე მეტი ღარიბი აღარ დარჩენილა.

წამსვლელებს ეძლეოდათ რიგიანი ტანისამოსი. თუმცა ამაებს ისინი „შემდეგისათვის“ ინახავდნენ და ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილნი მხიარულ ბრბოებად დადიოდნენ ქუჩებში. ყველა შორდებოდა შიმშილსა და უსაქმობას და მომგებიან შრომისათვის მიეშურებოდა შორს ქვეყანაში.

განდეგილი

(დასასრული)



წმ. ვერონიკას ჩადრი

(სელმა ლაგერლეფისა *)

ოდესაც ახალგაზრდა ქალმა გამოიღვიძა, უკვე ნათელი დღე იყო. მხევალი ქალებიც აქვე იდგნენ და თავიანთ ქალბატონის ბრძანებას მოელოდნენ.

იგი ძლიერ მდუმარე იყო, სანამ ტანთ მოსავდნენ, მაგრამ ბოლოს ჰკითხა მხევალს, რომელიც თმას, ვარცხნიდა: ადგა უკვე ჩემი მეუღლე თუ არა? გაიგო, რომ დაიბარეს სასამართლოში, სადაც ვიღაც დამნაშავის საქმე ირჩეოდა?

— ნეტავ მენახა,—სთქვა ყმაწვილმა ქალმა.

— ქალბატონო, ეს ძნელი მოსახერხებელია საქმის გარჩევის დროს,—უთხრა მხევალმა:—მოგახსენებთ, როცა საქმე დაბოლოვდება.

დადუმებული იჯდა, სანამ ჩააცვეს. შემდეგ ჰკითხა: ხომ არავის გაუგია-რა ნაზარეველ წინასწარმეტყველისა?

— ნაზარეველ წინასწარმეტყველი —ებრაელი სასწაულთმოქმედია,—მაშინვე უპასუხა ერთ-ერთმა მხევალმა.

— საკვირველია, ქალბატონო, რომ სწორედ დღეს კითხულობთ იმის ამბავს, სთქვა მეორე მხევალმა:—სწორედ ის მოიყვანეს დღეს ებრაელებმა, რომ მართველმა გამოიძიოს იმისი საქმე.

ახალგაზრდა ქალმა ბრძანება გასცა დაუყონებლივ წასულიყვნენ სასამართლოში და გაეგოთ, თუ რა ბრალსა სდებ-

*) იხ. „ნაკადული“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ წინასწარმეტყველს? ერთი მოხელე იქით გაემართა. დაბრუ-
ნებულმა მოახსენა:

— ბრალად სდებენ უბედურს, გინდოდა შენი თავი ამ
ქვეყნის მეფედ გამოგეცხადებინაო, და მმართველს ეეედრე-
ბიან, ჯვარს აცვიო.

ეს რომ გაიგო მმართველის მეუღლემ, ძლიერ შეშინდა
და სთქვა:

— უთუოდ უნდა მოველაპარაკო ჩემს ქმარს, თორემ
საშინელი უბედურება დატრიალდება.

როდესაც მხევალმა კვლავ მოახსენა,—ახლა ყოვლად
შეუძლებელიაო,—აკანკალდა და ტირილი დაიწყო. ამ სანა-
ხავით გულ-აჩუყებულმა ერთმა მხევალთაგანმა მოახსენა:

— ქალბატონო! თუ მმართველთან ბარათის გაგზავნას
ინებებ, ვეცდები გადავსცე როგორმე.

მმართველის ცოლმა აიღო კალამი და რამდენიმე სიტყვა
დასწერა გასანთლულ ფიცარზე. ეს გადასცეს პილატეს. მაგრამ
მარტოდ მაინც ვერა ნახა, რადგან, როცა მან ურიები დაითხო-
ვა და იესო დანიშნულ ადგილას წაიყვანეს დასასჯელად, სადი-
ლის დრო იყო და პილატემაც იერუსალიმში მყოფი ზოგი-
ერთი რომაელი მიიპატიჟა. აქ იყვნენ ჯარის უფროსები, მჭევრ-
მეტყველების ახალგაზრდა მასწავლებელი და კიდევ სხვები.

ნადიმი არც ძლიერ მხიარული იყო. მმართველის მეუღ-
ლე გულ-ჩათხრობილი იყო და არავითარ მონაწილეობას არ
იღებდა ბაასში.

როდესაც სტუმრებმა იკითხეს, ავად ხომ არ არის, ან
რითიმე გულ-ნატკენია,—მმართველმა სიცილით უამბო ბა-
რათის ამბავი, თან მასხარად იგდებდა ცოლს,—რამ გაფიქ-
რებინა, რომ რომის იმპერატორის მოადგილე იხელმძღვა-
ნელებს ქალის სიზმრებითაო!

ცოლმა წყნარად და ნაღვლიანად უპასუხა:

— დარწმუნებული გახლავარ, რომ ეს სიზმარი კი არა,
ღმერთების განგება იყო. ხომ შეგეძლო სიცოცხლე გეჩუქე-
ბინა იმ ადამიანისათვის ერთის დღით მაინც: დასჯას ხვალაც
მოასწრებდი.

ყველა ჰხედავდა, რომ ქალი მართლაც დანაღვლიანებული იყო: ვერა და ვერ გაამხიარულეს, თუმცა სტუმრები სცდილობდნენ საინტერესო ბაასით დაევიწყებინათ თავისი სიზმრები.

რამდენისამე ხნის შემდეგ ერთმა სტუმართაგანმა უკან მიიხედა და წარმოსთქვა:

— ეს რასა ჰნიშნავს? ნუ თუ ისე დიდხანს ვსხედვართ სადილად, რომ უკვე ბინდდება?

მიიხედეს და დაინახეს, რომ ბინდს მოეცვა არე-მარე. უფრო თვალსაჩინო ის იყო, რომ ფერთა სრბოლა სხვა და სხვა საგნებზე მეტად მკრთალი იყო, ასე რომ ყველაფერს ერთნაირი ნაცრის ფერი ედო.

საგნებთან ერთად მოსადილეთა სახესაც დაეკარგად ფერი.

— დააკვირდით, მიცვალებულის ფერი გვადევს ყველას! თავზარდაცემულმა წამოიძახა ახალგაზრდა ორატორმა: ღაწვს ნაცრის ფერი აქვს, ბაგე კი გაგვშავებია!..

რაც უფრო ძლიერდებოდა ბინდი, ახალგაზრდა ქალის ძრწოლაც მატულობდა.

— ოჰ, ჩემო მეგობარო,—წამოიძახა მან,—ნუ თუ არც ახლა დარწმუნდები, რომ უკვდავთ შენი გაფრთხილება სურთ? განრისხებულნი არიან, რომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტე წმიდასა და უდანაშაულო ადამიანს. მე ვგონებ, თუნდა უკვე მილურსმული იყოს ჯვარზე, მაინც არ დალევდა სულს. უბრძანე, გარდამოხსნან! მე მსურს ჩემის ხელით მოვურჩინო წყლულები. დამითმე, მაჩუქე მისი სიცოცხლე!..

მაგრამ პილატემ ღიმილით უპასუხა:

— რა თქმა უნდა, მართალი ხარ, რომ ამაში ღმერთთა წინასწარ განგებას ჰხედავ, მაგრამ არ მოუსპობენ იგინი მზეს ბრწყინვალებას მარტო იმიტომ, რომ ებრაელ ცრუ-მოძღვარს ჯვარცმა მიესაჯა. უფრო საყურადღებო ცვლილებას უნდა მოველოდეთ, რომელიც მთელს იმპერიას შეეხება... ვინ იცის, როცა მოხუცი ტიბერი...

პილატემ ვერ დაამთავრა სიტყვა, რადგან ისეთი ბუნდოვანი გამეფდა ირგვლივ, რომ თავის ჭიქასაც ველარ ჰხედავდა. შესწყვიტა სიტყვა და უბრძანა მონებს, მოეტანათ სანათი.

როდესაც ისე განათდა, რომ შესძლო სტუმართა დანახვა, შეამჩნია, ყველა ცუდს გუნებაზეა.

— ჰხედავ,—უთხრა უკმაყოფილოდ ცოლს:—შენ გაგვიმწარე შენის სიზმრებით ნადიმის სიტკბოება. მაგრამ, თუ კი სხვა ვერაფერზე შეგიძლია დღეს ფიქრი, გვიამბე მაინც, რა ნახე სიზმრად. მოვისმენთ და ვეცდებით ავხსნათ იმათი მნიშვნელობა.

ცოლი მაშინვე დასთანხმდა. სანამ თავის სიზმრებს უამბობდა, სტუმრები თანდათან ფიქრში შედიოდნენ. თასებს ალარ სცლიდნენ და სმენად იყვნენ გადაქცეულნი. ერთად ერთი, რომელიც ისევ იცინოდა და სისულელედ სთვლიდა ამ სიზმრებს,—იყო თვით მოადგილე მეფისა.

როცა სიზმრის ამბავი დათავდა, ახალგაზრდა ორატორმა სთქვა:

— დიალ, ეგ სიზმარზედ მეტია, რადგანაც, მე თვითონ თუმცა იმპერატორი არ მინახავს დღეს, სამაგიეროდ ვნახე, რომ ქალაქში შემოვიდა იმპერატორის ძველი მეგობარი, ფაუსტინა. მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ აქამდე არ მობრძანებულა მოადგილის სასახლეში.

— მართლაც, ხმა დადის, იმპერატორს საშინელი სენი სჭირსო,—დაუმატა სარდალმა,—და, ვგონებ, რომ შენის მეუღლის სიზმრები ღმერთების განგებაა.

— არც დაუჯერებელია, რომ ტიბერის გამოეგზავნოს ვინმე წინასწარმეტყველთან და შველა ეთხოვნოს,—დაეთანხმა ახალგაზრდა ორატორი.

ჯარის უფროსმა უთხრა პილატეს:

— თუ იმპერატორს მართლაც სურს ამ სასწაულთ-მოქმედის მიწვევა, თქმა არ უნდა, უკეთესი იქნებოდა შენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, საზოგადოდ, ყველა ჩვენთვისაც, რომ იგი ცოცხალი დახვედროდა.

პილატემ უკვე განრისხებით უპასუხა:

— სიბნელემ ბავშვებად ხომ არ გაქციათ? ადამიანს ეგონება, ყველანი სიზმრების ამხსნელებად ან წინასწარმეტყველებად გამხდარხართ.

მაგრამ სარდალი მღელვარებას გაეტაცა:

— იქნება ჯერ კიდევ შეიძლება იმ საცოდავს სიცოცხლე დაუბრუნდეს, უკეთუ საჩქაროდ გაგზავნი შიკრიკს.

— თქვენა გსურთ, რომ მე ყბად-ასაღები გავხდე აქაურ მკვიდრთათვის!—უპასუხა პილატემ:—დაფიქრდით, როგორი იქნებოდა წესიერება და კანონიერება ამ ქვეყანაში, როდესაც გაიგებენ, რომ მოადგილემ შეიწყალა დამნაშავე, რადგანაც მისმა ცოლმა ავი სიზმარი ჰნახაო?

— მე რომ ფაუსტინა იერუსალემში ვნახე, ეს ნამდვილია და არა სიზმარი,—მოახსენა ახალგაზრდა ორატორმა.

— ჩემის საქციელის პასუხს მე თვითონ ვაგებ იმპერატორის წინაშე,—სთქვა პილატემ,—ის თვითონაც მიხვდება, რომ ამ ოცნებით გატაცებულ კაცს, რომელიც ხმა ამოუღებლივ ატანჯვინებდა თავს ჩემს მონებს, არც იმდენი ძალა ექნებოდა მის დასახმარებლად!

იმ დროს, როდესაც წარმოსთქვა ეს სიტყვები, მთელი სასახლე შეიძრა უცნაურ გუგუნისაგან, რომელიც ქუხილივით გრგვინავდა, და ინძრა მიწა. მმართველის სასახლე დაუზიანებლად გადარჩა, მაგრამ გუგუნის შემდეგ ყოველ მხრიდან დაქცეულ სახლებისა და განადგურებულ სვეტების თავზარდამცემი გრიალი ისმოდა.

როდესაც შესაძლებელი გახდა ადამიანის ხმის გაგონება. მოადგილემ მოიხმო მონა.

— საჩქაროდ გაიშურე გოლგოთას და გადაეცი ჩემი ბრძანება,—ჩამოხსნან ჯვრიდან ნაზარეველი მოციქული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონა მაშინვე გაემართა. შეკრებილი საზოგადოება სასადილო ოთახიდან აივანზე გავიდა, რომ გარეულ ყოფილიყვნენ, თუ კვლავ განმეორდებოდა მიწის ძვრა. მონის დაბრუნების მოლოდინში ხმის ამოღებას ვერავინ ჰბედავდა.

მონა მალე დაბრუნდა.

—ცოცხალს მიუსწარი, თუ ვერა?—ჰკითხეს უკანასკნელს.

— ბატონო,—მოკვდა, და იმ დროს, როდესაც სული აღმოხდა, დედამიწა იძრა.

ამ დროს კარი დაარაკუნეს. ამ ხმაზე ყველანი შეკრთნენ და ზეზე წამოცვივდნენ, თითქო ხელახლად იძრა მიწაო.

შემოვიდა მონა:

— კეთილშობილთ ფაუსტინას და სულპიცის, იმპერატორის მახლობელთ, მოადგილის ნახვა სურთ. რომიდგან მობრძანებულან და დახმარება უნდა სთხოვონ ბატონს, ნაზარეველი წინასწარმეტყველი გვიპოვნეო.

აივანზე ნელი ოხვრა და წყნარი ფეხის ხმა მოისმა. როდესაც მოადგილე მიუბრუნდა, დაინახა, რომ მეგობრები განზე გასდგომოდნენ, რაიცა ცხადი ნიშანი იყო კარზედ მომდგარ უბედურებისა.

მოხუცი ფაუსტინა ისევ იტალიაში დაბრუნდა და იმპერატორს ეახლა. ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა და, ვიდრე ლაპარაკობდა, ძლივს მოიკრიბა ძალა, პირი-სახეზედ შეეხიდნა. ფაუსტინას შორს ყოფნაში სენს მძლავრად წაეწია წინ, და მოხუცმა გაიფიქრა: „ღმერთებს რომ შებრალება ჰქონდეთ, ჯერ მე მომკლავდნენ; ძალა უნებურად უნდა უთხრა ამ უბედურ ტანჯულს, რომ ყოველივე იმედი დაკარგულია!..“

მაგრამ ძლიერ გაკვირვებული იყო, რომ ტიბერი სრულის გულ-გრილობით ისმენდა მის ნაამბობს. როდესაც მოახსენა, ძლიერი სასწაულთმოქმედი სწორედ იმ დღეს აცვეს ჯვარსა, როცა იერუსალიმს მივედი და ადვილად შემეძლო მისი ხსნაო, ცრემლები მოერია. მაგრამ ტიბერიმ უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ძლიერ სამწუხაროა, რომ ჯერაც არ ამოგიხ-ხვრია გულიდან რწმენა მკითხავებისა და სასწაული მომქმედთადმი, რომელიც ბავშვობიდანვე თან ჩამოგყვა რაბინის მთებიდან.

მაშინ მიხვდა ფაუსტინა, რომ ტიბერი არასოდეს არ მოელოდა ხსნას ნაზარეველ წინასწარმეტყველისაგან.

— მაშ, რაღად მომეცი ნება შორს ქვეყანაში მოგზაურობისა, თუ კი იმედი არა გქონდა იმ კაცისა?

— შენ ერთად ერთი მეგობარი ხარ ჩემი, — უპასუხა ტიბერიმ: — რად უნდა მეთქვა უარი, როცა შემეძლო ასრულება შენის სურვილისა?!

მაგრამ მოხუცს არა სჯეროდა, რომ იმპერატორი მარტო მის სურვილს აჰყვა.

— უცნაური ხასიათი გაქვს, — უთხრა მოხუცმა: — ნეტავი ეგ არ იცოდე!

— უკეთესი იქნებოდა, რომ სრულიად არ დაბრუნებულიყავ, — სთქვა ტიბერიმ, — უნდა დარჩენილიყავ სამშობლო მთებში.

ერთ წამს ისე ეგონებოდა ადამიანს, რომ ეს ორი ადამიანი, რომელნიც ასე ხშირად ეკამათებოდნენ ერთმანეთს, ისევ მკვახე სიტყვებით მიჰმართავდნენ ერთმანერთს, მაგრამ მოხუცის გულის წყრომა მალე გაჰქრა. წავიდა ის დრო, როდესაც ძლიერის თავგამოდებით იცავდა თავის აზრსა და რწმენას იმპერატორის წინაშე. ისევ ლმობიერ კილოს მიჰმართა, მაგრამ მაინც არ შეეძლო უარეყო თავისი სიმართლე:

— ის ადამიანი მართლა წინასწარმეტყველი იყო, — განაგრძო მოხუცმა. — თვითონ მე ვნახე საბრალო. როდესაც თვალი მოვკარით ერთმანერთს, ვიგრძენ, რომ ის ღმერთი იყო. ალბად გონება შემერყა, რომ ვერ შევძელ მისი დახსნა.

— მიხარის, რომ ვერ შესძელ, — სთქვა ტიბერიმ: — იგი დამნაშავე იყო იმპერატორის წინაშე და მეამბოხე.

ფაუსტინა განრისხებას ლამობდა.

— ბევრს იმის მეგობარს ვებაასე იერუსალემში, — სთქვა მოხუცმა, — არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, თუმცა ძრავალ ბრალს სდებენ.

— თუნდა არავითარი დანაშაული არა ჰქონოდა, ამით მაინც სხვაზედ უკეთესი არ იქნებოდა, — წაიბუტბუტა იმპერატორმა. — სად არის ისეთი ადამიანი, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში ათასჯერ მაინც არ დაემსახურებინოს სიკვდილი?

იმპერატორის ამ სიტყვებმა აიძულა ფაუსტინა მოქცეულიყო ისე, როგორც სწადდა და აქამდე-კი ყოყმობდა.

— მაინც მინდა თვალწინ დაგიყენო მისის სასწაულებრივის ძლიერების მაგალითი, — სთქვა მან. — წინადაც მითქვამს, რომ სახეზე ჩემი ხელსახოცი მივაფარე. ეს სწორედ ის ხელსახოცია, რომელიც ამ ჟამად ხელში მიჭირავს. ერთ წუთს მაინც შეჰხედე. არ ინებებ?

ფაუსტინამ გადაუშალა იმპერატორს ხელსახოცი. ტიბერიმ დაინახა ზედ ადამიანის სახის მკრთალი გამოხატულება.

ხმა მღელვარებისაგან უკანკალებდა, როდესაც მოთხრობას განაგრძობდა:

— ეს კაცი ჰხედავდა, რომ მე მიყვარს იგი და გული მისდამი სიბრალულითა და რწმენითა მაქვს სავსე. არ ვიცი, რა საშუალებით დამიტოვა მან თავისი სახის სურათი. მაგრამ თვალებზე ცრემლი მერევა ხოლმე ყოველთვის, როცა ამ სურათსა ვხედავ

იმპერატორი დაიხარა და დაუწყო სინჯვა სახეს, რომელიც თითქო სისხლით, ცრემლით და ტანჯვის შავი ჩრდილებით იყო ამოქსოვილი. თანდათან მთელი სახე ირკვეოდა იმპერატორის თვალწინ ისე, როგორც ხელსახოცზე აღბეჭდილიყო. ჰხედავდა სისხლის წვეთს შუბლზე, ეკლიან გვირგვინს, სისხლითა და ოფლით შემხმარ თმას და პირს, ტუჩები კი თითქო უკანკალებდა ტანჯვა წამებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან უფრო წინ იწევდა იმპერატორი და ნახატს ხარბად აცქერდებოდა. უფრო გარკვევით გამოჩნდა სახე. უცებ დაინახა, რომ ნახევრად გამოურკვეველ შემოხაზულობიდან გამოიხედა ტანჯულის სიცოცხლით გაბრწყინვებულმა თვალებმა. და იმ დროს, როდესაც ეს თვალები უამბობდა ულრმესს ტანჯვა-წვალებას, ამასთან ერთად უჩვენა სიწმინდე და სულიერი სიმართლე, რომელიც იმპერატორს ჯერ არსად ენახა წინად.

საწოლში იწვა და თვალს არ აშორებდა სურათს.

— განა ეს ადამიანია?—იკითხა მან წყნარად და თავდაბლად:—ნუ თუ ეს ადამიანია?!

კვლავ დადუმდა და მწოლარე ათვალიერებდა ნახატს. ცრემლი წამოუვიდა თვალთაგან.

— ვტირი შენს სიკვდილს, ჰოი, უცნობო!—ჩურჩულებდა იმპერატორი.—ფაუსტინა,— რად მიეცი ნება დაესაჯათ? ჩემი განკურნება მარტო იმას შეეძლო!

და კვლავ ხარბად მიაპყრა თვალი სახესა.

— ოჰ, შენ ადამიანი ხარ!—სთქვა პატარა ხნის შემდეგ:— თუ არ შეიძლება შენგან განკურნებას ველირსო, შენის სისხლის აღება ხომ შემიძლიან! მძიმედ მოხვდება ჩემი ხელი იმას, ვინც მომაშორა შენი თავი!

დიდხანს დადუმებული იწვა, ბოლოს ბრძანა, ჩამოიღეთ ეგ სახე ძირსაო. წამოდგა და მუხლი მოიდრიკა სურათის წინაშე.

— შენ ადამიანი ხარ,—სთქვა მან.—შენ ხარ ის, ვის ნახვის იმედი სრულიად დავკარგე სიცოცხლეში.

შემდეგ თავისი თავი გაითვალისწინა, თავისი დამახინჯებული სახე წარმოიდგინა, დაიარავებულს ხელებზე დაიხედა და სთქვა:

— მე და ჩვენ ყველანი მხეცები ვართ, მხოლოდ შენა ხარ ადამიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე დაბლა მოიხარა თავი სურათის წინაშე, რომ მუხლი მიწას შეახო.

— შემიწყალე, ჰოი, უცნობო!—და იმპერატორის ცრემლი იატაკის ქვებს დაენამა.—ცოცხალი რომ იყო,—მარტოოდენ შენი შეხედვა განმკურნავდა!

საბრალო მოხუცს თავის საქციელისა ეშინოდა. „უკეთესი იქნებოდა, რომ სულაც არ მეჩვენებინა იმპერატორისათვის ნასახი“,—გაიფიქრა მან. იმ თავითვე ეშინოდა მოხუცს, მისი ტანჯვა მაშინ უფრო გაძლიერდება, როდესაც მის სახეს იხილავსო.

იმპერატორის მწუხარებით გულჩათუთქული ეცა მოხუცი ხელ!ახოცს, რომ ბოლო მოეღო ამ საშინელებისთვის.

იმპერატორმა პირი მოიბრუნა...—მისი სახე შეცვლილიყო და ისევ ისეთი იყო, როგორც ავადმყოფობამდე. სენი თითქო სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი, ზიზღითა და მძულვარებით იყო სავსე მისი გული ადამიანისადმი, ეს სენი უნდა გამქრალიყო იმ წამსვე, როდესაც სიყვარულმა და სიბრალულმა გაათბო მისი გული.

მეორე დღეს ტიბერიმ სამი შიკრიკი გაგზავნა.

პირველი გაემგზავრა რომს და გადასცა სენატს ბრძანება, დაენიშნათ გამოძიება იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს პალესტინის მმართველი თავის თანამდებობას, და დაესაჯათ, უკეთუ აღმოჩნდებოდა, რომ ავიწროვებს ხალხს და სიკვდილით სჯის უდანაშაულოებს.

მეორე გაგზავნილ იქმნა მევენახესა და მის ცოლთან, რომ მადლობა გადაეხადა რჩევისათვის, დაეჯილდოვებინა იგინი და ამასთანავე ეცნობებინა ყოველივე დაწვრილებით.

ბოლომდის მოისმინეს ამბავი და ატირდნენ; ქმარმა კი სთქვა:—სიკვდილამდე იმის ფიქრში ვიქმნები, თუ რა მოხდებოდა, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ იესო და ტიბერიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შეუღლეს უპასუხა:—სხვა გზა არ იყო. რა წარმოადგენია მათი შეხვედრა? უფალმა იცოდა, რომ ქვეყანა არ შეიწყნარებდა მას.

მესამე შიკრიკი გაემგზავრა პალესტინას და მოიყვანა კაპრინზედ ქრისტეს რამდენიმე მოწაფე; მათ იწყეს ქადაგება იმ მოძღვრებისა, რომელიც ჯვარცმულმა მოიტანა.

როდესაც მოწაფენი კაპრიზე მოვიდნენ; ფაუსტინა უკვე სიკვდილის პირად იყო. მაგრამ მაინც შეუერთეს იგი ძლიერ წინასწარმეტყველის მორწმუნეთა რიცხვს და ნათელ სცხეს. ნათელ ცხებაზე დაერქვა ვერონიკა, რაიცა ნიშნავს—„ჭეშმარიტს ნასახს", რადგანაც იმას ხვდა წილად მოეტანა ხალხისათვის მაცხოვარის ჭეშმარიტი გამოხატულება.

პ. დ—ძე

(დასასრული)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწის ძვრა

ბუნების მოვლენათა შორის სუყველაზე დიდ მძლავრი და ადამიანისთვის დიდის უბედურობის მომტანი მიწის ძვრა არის. თვალი რომ გადავავლოთ წარსულ დროს, დავინახავთ, რომ არა ერთი და ორი ქალაქი და სოფელი გაუნადგურებია ამ საშინელ მოვლენას. აუარებელი ხალხი დაღუპულა და დამარხულა მათ ნანგრევებში. სუყველაზე ძლიერი მიწის-ძვრა, რომლებიც კი ახსოვს კა-

ცობრიობას, იყო პორტუგალიის სატახტო ქალაქ ლისაბონში და სიცილიის ქალაქ მესინაში მის მახლობელ ადგილებთურთ. აი რას მოგვითხრობს ლისაბონის მიწის-ძვრის მნახველი: ეს უბედურობა ქალაქს ეწვია 1755 წელს, ნოემბერში. დილის რვა საათი იყო, როდესაც მიწიდან მოისმა ქუხილის მსგავსი გრგვინვა. ცოტა ხანს უკან საშინლად შეიძრა მთელი ქალაქი. რვა წუთის განმამავლობაში მიწის ზედაპირი ერთის ადგილის სიმაღლეზე ადიოდა და დადიოდა მომეტებული ნაწილი სახლებისა დაინგრა. რომლებიც კი გადარჩნენ, ისინიც ირყეოდნენ; რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ყოველ წუთს დაინგრეოდნენ, თავზარ დაცემული ხალხი საჩქაროდ გამოეცალა ამ შენობებს და ზღვის სანაპიროსკენ გაეშურა. იქაც საოცარი ცვლილება მომხდარიყო: ზღვა რამდენსამე ასს საჟენ მანძილზე უკუქცეულიყო, და მის მაგივრად ხმელეთი მოსჩანდა. მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი სანაპიროზე; ბევრი მათგანი მთლად შიშველ-ტიტველი იყო. ხალხი მიწაზედ დაემხო და, მუხლ მოდრეკილი, ღმერთს ევედრებოდა, ეკმარებინა ამდენი ტანჯვა. დიდხანს არ გასტანა ასეთმა მდგომარეობამ. ზღვა ისევ თავის ნაპირებისკენ გამოჰქანდა, აზვირთებული ტალღები ხმელეთზე გადმოვიდა და, რაც მოედანზე ხალხი იყო, სულ ერთიანად ჩანთქა. რაც მიწის-ძვრამ დააკლო, ის წყალმა შეუსრულა. ქალაქის მცხოვრებლები სამოცათასამდი დაიღუპა. სწორედ ამ დროსვე აფრიკაშიაც დიდი უბედურობა დატრიალდა: რამდენისამე სოფლის ქვეშ მიწა გაირღვა და სოფლები თან ჩაიტანა: გარღვეულმა მიწამ პირი ისევ შეიკრა, თითქოს ამითა ჰსურდა თავის დანაშაულის დამალვა.

მესინის მიწის-ძვრა სიძლიერით აღემატება ლისაბონისას. ეს მიწის-ძვრა მოჰხდა შარშან, 1908 წელს, დეკემბრის დამლევს. მესინის გარდა მის ახლო მდებარე ქალაქებიც დაიღუპა. მიწა იძრა ღამის ოთხ საათზე, როდესაც ქალაქი ღრმა ძილში იყო. ამ მოვლენას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ რაც

ქალაქში შენობები იყო, სულ დაინგრა. ნანგრევებმა მრავალი ხალხი დაიტანა. ამ უბედურობას სხვა უბედურობაც დაერთო: გასანათებელი გაზის მილები, რომლებიც გაყვანილი იყო მთელ ქალაქში, დასკდა, გაზს ცეცხლი მოეკიდა და მოედო ქალაქს. ვინც კი შემთხვევით გადარჩნენ, ქუჩაში გამოცვივდნენ, მაგრამ ვერც იქ უშველეს თავს. ქალაქის არემარე სიბნელით იყო მოცული და კოკისპირული წვიმა მოდიოდა. გარშემო არაფერი სჩანდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საითმე გაქცევა და გადარჩენა. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. აღმოჩნდა, რომ ქუჩაშიაც საშიში იყო დარჩენა, რადგანაც ბევრ ადგილას დედამიწის პირი დამსკდარიყო და ხალხი შიგ ცვიოდა. შეწუხებული ხალხი ზღვის ნაპირისკენ გაემართა, მაგრამ იქაც ლისაბონიელების უბედურობა დაატყდათ: მიწის ძვრას ზღვის-ძვრა მოჰყვა. ტალღები ხმელეთზე გადავიდა და ხალხი წყალში ჩაიტანა. დაღუპულთა რიცხვი ორასი ათასი აღმოჩნდა.

II

საბედნიეროდ, ასეთი ძლიერი მიწის-ძვრა იშვიათია. უფრო კი ხშირად სუსტად იძვრის მიწა. ამისთანა მიწის-ძვრას უბედურობა და ზარალი არ მოსდევს. ხალხი მარტო შიშს გამოივლის ხოლმე, ზარალი კი მარტო ის არის, რომ ზოგ სახლებს კედლები უსკდება. საცა ხშირად იცის მიწის-ძვრა, იქ ხალხი ისეა შეჩვეული, რომ ყურადღებასაც აღარ აქცევს. ამისთანა ქვეყანა იაპონია არის: სამაგიეროდ, ციმბირსა და რუსეთში სუსტი მიწის ძვრაც კი ძალიან იშვიათად იცის.

საოცარი ცვლილება ხდება დედამიწის ზედაპირში მიწის ძვრის შემდეგ. შემჩნეულია, რომ ზოგ ჭებში სრულებით იკარგება წყალი, ზოგში კი მატულობს. ზოგს მდინარეს სრულებით ეცვლება მიმართულება. უწყლო ადგილებში წყაროები ჩნდება, წყლიანი და ნესტიანი ადგილები კი მშრალ ადგილე-

ბათ გარდაიქცევიან ხოლმე. წყაროებს უცებ ემატებათ წყალი, ან კიდევ სულ მოულოდნელად იმღვრევა და ეცვლება გემო და ტემპერატურა. ლისაბონის მიწის ძვრის დროს ინგლისში უქარო დღეს ტბებმა სულ უმიზეზოდ დაიწყეს ღელვა. ამ გვარი მოვლენა ძალიან ბევრია, მაგრამ სუყველაზედ შესამჩნევად ის უნდა ჩაითვალოს, როდესაც დედამიწას პირი უსკდება, ან არა და ძირს იწევს, და სამაგიეროდ დაბალი ადგილი მაღლდება. დედამიწა კარგა დიდ მანძილზედა სკდება, ჩნდება ნახეთქები ანუ ნაპრალები. საბერძნეთში ერთ ამისთანა ნაპრალს სიგრძე თორმეტი ვერსი აქვს, სიგანე-კი—ორი ადლი.

უფრო გრძელი ნაპრალი ავსტრალიაშია. ამ ნაპრალს სიგრძე-ჯერ ოთხმოცდა ათი ვერსი ჰქონდა, როცა მიწის ძვრა გამეორდა, უფრო მოემატა და ას ორმოცი ვერსი გახდა. მიწის ნაპრალებს მომეტებულ ნაწილად პირი ღია რჩებათ. ზოგს კი ხელახლა ეკვრება. ამერიკაში ერთ მიწის ძვრის შემდეგ მრავალი ნაპრალი გაჩნდა და შიგ ხალხი ჩაინთქა. რადგანაც ნაპრალები ისევ ჩქარა შეიკრა, ბევრმა ვერ მოასწრო მთლად ჩავარდნა და ზემო ნაწილი სხეულისა მაღლა დაჰრჩათ. ის ადგილი გაჭყლეტილ კაცების თავებით მოიფინა და დიდხანს საზარელ სურათს წარმოადგენდა.

დედამიწის ზედა-პირის აწევ დაწევით უფრო ძალიან ეცვლება ადგილს გარეგანი სახე და მოყვანილობა, ასე რომ ადამიანი ველარც კი სცნობს ნაცნობს მხარეს. იაპონიაში ერთ გადახნულ მინდორზედ, რომელზედაც გზა გადადიოდა, შემდეგი ცვლილება მოჰხდა: ამ მინდვრის ერთმა ნაწილმა აიწია, მეორემ კი დაიწია. მათ შორის რამდენიმე ადლის სიმაღლე კედელი გაკეთდა. შეუძლებელი გახდა ამ გზაზედ მოგზაურობა, რადგანაც გზაც შუაზედ გასწყდა. ასეთივე ცვლილება ნახნავებსაც მოუვიდა: ზოგს ბოლო დააწყდა და ზოგს თავი, ასე რომ მათ პატრონებს მთლად აერიათ თავიანთი საკუთრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

მიწის ძვრის მიზეზები

ახლა ვიკითხოთ, საიდგანა და როგორა ჩნდება მიწის ძვრა. უმეცარი ხალხი თავისებურადა ჰხსნის ამ მოვლენას; ახლაც ბევრი მათგანი იმ აზრისაა, რომ დედამიწა სამ ვეშაპზედა სდგას. როდესაც ეს ვეშაპები გაინძრევიან, მიწაც მაშინ იძვრის. როდესაც მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დედამიწა, არამც თუ არაფერზედ არა სდგას, პირიქით, თავისუფლად დასეირნობს მსოფლიოს სივრცეში, მაშინ მიწის ძვრის მიზეზების ძებნა მიწაშივე დაიწყეს. ადამიანის უბედურობის მიზეზი წყალი და სითბო გამოდგა, მხოლოდ წყალი ორთქლად გარდაქცეული. ძნელი დასაჯერებელია პირველად, ორთქლს იმდენი ძალა ჰქონდეს, რომ მიწა შეანძრიოს, მაგრამ, თუ დავაკვირდებით ორთქლის მატარებლის ღონესა და ძალას, ეჰვს ადგილი აღარ ექნება. ორთქლის მატარებელში ორთქლი ბევრი არ არის, მაგრამ დიდ სიმძიმესა სძრავს, ათას ფუთობით გადააქვს ტვირთი ერთ ადგილიდგან მეორეზედ. ახლა წარმოვიდგინოთ, რამდენი ძალა გაჩნდებოდა, რომ რაც მდინარეში ან ტბაში წყალია, ერთბაშად ორთქლათ გარდაიქცეს. ამისთანა ძალას, მეცნიერების აზრით, არ გაუჭირდებოდა მიწის შენძრევა.

საიდგანა ჩნდება მიწაში ორთქლი? ამ უკანასკნელის გასაჩენად წყალი და სითბოა საჭირო. თუ მიწაში ორივე მოიპოვება, მაშინ ორთქლიც გაჩნდება. მიწაში რომ წყალი არის, ეგ ყველამ ვიცით, რადგანაც მდინარეები და წყაროები მიწიდგან გამოდის, მაგრამ მათ მთლად ვერ გამოაქვთ ის წყალი, რომელიც ჩაიჟონება ხოლმე წვიმისა და თოვლის შემდეგ, ბევრი წყალი კიდევ რჩება მიწაში, რადგანაც გამოსასვლელ ადგილს ვერა პოულობს. ამგვარად მიწაში გროვდება წყალი და ჩნდება ტბები, რომლებსაც ქვესკნელის ტბებს უძახიან.

წყალი არც აქა რჩება დიდხანს, მეტადრე თუ ტბის ქვა-ნი რი დაუსკდა, მაშინ წყალი უფრო ღრმად მიდის დედამიწის გულისკენ და მიისწრაფის იქითკენ, საცა დიდი სითბოა. დედამიწაში რომ დიდი სითბო არის, ეს იქიდგან გაიგო ადამიანმა, რომ ბევრ ადგილას მიწიდგან ცხელი წყლები ამოდის. ამისთანა წყლები ტფილისშიაც არის. ევროპაში, კუნძულ ისლანდიაში შადრევნებიც კია ცხელის წყლისა. ამას გარდა, ადამიანი საკუთარის გამოცდილებითაც დარწმუნდა, რომ მიწაში დიდი სითბო უნდა იყოს. როდესაცა სთხრიან მაღაროებს მადნეულობის ამოსაღებად, აშკარად ატყობენ, რომ, რაც უფრო ღრმად ჩადიან, მით უფრო სითბო მატულობს. ღრმა მაღაროებში ხშირად მადნისთვის მიუნებებიათ თავი, მარტო იმისთვის, რომ დიდი სიცხის გამო შეუძლებელი ყოფილა მუშაობა.

თუ დიდ სიღრმეზედ ასე მატულობს სითბო, მაშინ დედამიწის გულში ისეთი საშინელი სიცხე უნდა იყოს, რომ ყოველი ნივთიერება, რაც კი იქ მოიპოვება, უეჭველად გამდნარი იქნება. ამ აზრს შემდეგი მოვლენა გვიმტკიცებს. დედამიწის ზურგზედ არის მთები, საიდგანაც დრო გამოშვებით გამდნარი ნივთიერება (ლავა) ნაცარ-ტუტსავით ამოჰხეთქს ხოლმე. ეს ნივთიერება ნიაღვარივით მოედება არე-მარეს და, რასაც გზაში ჰხვდება, სულ ერთიანად სწვამს. ამისთანა მთებს სახელად ცეცხლ-მფრქვეველი მთა ეწოდება. ზემო მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ დედამიწაში წყალიცა ყოფილა და სითბოც, მაშასადამე, ორთქლის გასაჩენად საჭიროა მხოლოდ მათი ერთმანეთთან შეხვედრა. წყალიც სწორედ იქით მიიწევს, საცა დიდი სიცხეა, ე. ი. მიწის გულისკენ; იქ ცხელდება და ორთქლად იქცევა. წყალი ორთქლათ გარდაქცეული ძალას იძენს, ფართოვდება და განზედ იწევს. რადგანაც დედამიწაში ძალიან ბევრი წყალი ჩადის, ორთქლიც ბევრი ჩნდება, განივრდება და აღარა ჰყოფნის ის ადგილი, რომელიც წყალს ეჭირა და ძალზედ აწვება ქვემოდგან დედამიწის ზედაპირას.

ამ დაწოლის გამო მიწა ინძრევა და აი ამ მოვლენას ჩვენ მიწის ძვრას ვეძახით. მიწის ძვრა, სხვათა შორის, იმით არის საშიში, რომ სულ მოულოდნელად ჰხდება. ბევრს ეცადნენ მეცნიერები, გაეგოთ წინდაწინვე, როდის გამეორდებოდა მიწის ძვრა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ის შეიტყეს, რომ ეს მოვლენა უფრო ხშირად ღამე ხდება ზამთრობით. კიდევ მიწის ძვრა იყო ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) დეკემბერში 1899 წ. ბარალეთის რაიონში. დაზარალდა სოფლები: ბარალეთი, იხტილა, მერენია, სამსარი დიდი და პატარა და სხვა.

ს. ვ.



მითოლოგია

ტროადის ომი*)

ომის განახლება და ტროადელების გამარჯვება

წორედ იმ დღეს, როცა აქეველებსა და ტროადელებ შორის შეკრულ ზავის ვადა შესრულდა, ღმერთების მამათ-მთავარს ზევსს მოაგონდა ფეტიდა ქალ-ღმერთისათვის მიცემული სიტყვა. ოლიმპოსის მფლობელი და ყოვლად შემძლებელი ღმერთების მამათ მთავარი დაჰპირდა ფეტიდა ქალღმერთს, სანამ აქეველების მთავარ-სარდალი ღირსეულად პატივს არა სცემს დიდებულს და ძლევა-მოსილს ფეტიდა ქალ ღმერთის შვილს აქილს, ელლინთა მხედრობა ყოველთვის დამარცხებული იქნება, ტროადელებზედ ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებსო.

ღმერთების მამათ-მთავარს, მოაგონდა რა ეს დაპირება, გაუთენებლივ მოიწვია ყველა უკვდავი ღმერთები ოლიმპოსზედ და ასეთის სიტყვებით მიჰმართა: „უკვდავნო ღმერთნო და უკვდავო ქალღმერთებო! გაფრთხილებთ! თუ ვინმე თქვენგანი დღეს, როცა ტროადელებსა და აქეველებს შორის ომი განახლდება, ბრძოლის ველზედ წავა და ან ერთსა და ან მეორე მხარეს დახმარებას აღმოუჩენს, სასტიკად დავსჯი, თავზედ ლაფ-დასხმულს ოლიმპოსზედ დავაბრუნებ და დაუ-

*) იხილე „ნაკადული“ № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყონებლივ ჯოჯოხეთში სამუდამო სატანჯველად გგზავნეთ-ო-რებ. ჩემთან ხუმბრობას არავის არ ურჩევ! გახსოვდეთ, ჩემს ძლიერებას საზღვარი არა აქვს! ვინც ჩემის სურვილის თანხმად არ მოიქცევა, სიცოცხლეს გაუმწარებ, დედამიწის ზურგზედ არ ვაბოგინებ! იცოდეთ, ყველა ამისათვის ძალა საკმაოდ შემწევს! აბა, თუ გსურსთ, შეამოწმეთ ჩემი ძლიერება! ჩამოჰკიდეთ ცაზედ ოქროს ჯაჭვი, ჩამოეკიდეთ ამ ჯაჭვზედ ყველა ღმერთები და ქალ-ღმერთები და, აბა, სცადეთ, შესძლებთ თუ არა ჩემის ზეციდან დაძვრას! დიალაც რომ ვერა! ოლიმპოსის მფლობელს, ცისა და ქვეყნის მმართველს ზევსს ადგილიდანაც ვერ დასძრავთ! პირიქით, მე თუ მოვისურვე, ყველა ღმერთებს და ქალ-ღმერთებს ამ ოქროს ჯაჭვით ზეცას ამოვიკრეფ, დედამიწასა და მთელ ზღვასა და ოკეანეს თან ამოვიტან ზეცას და ამავე ოქროს ჯაჭვით ოლიმპოსის მწვერვალოზედ მივაკრავ! დიალ! ესეთია ჩემი ძლიერება და ამიტომ ჩემის ბრძანების შეუსრულებლობა მრავალს თქვენგანს სანანურად დარჩება!"

ღმერთებმა შიშითა და კრძალვით მოისმინეს ოლიმპოსის მფლობელის მრისხანე სიტყვა და ვერც ერთი მათგანი სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა ღმერთების მამათ-მთავარს.

ოლიმპოსის მბრძანებელმა ასეთის ბრძანების გაცემის შემდეგ შეაბმევინა ოქროს ეტლში თავისი ფეხმალი, ოქროს ფაფრიანი უკვდავი ცხენები და ელვის სისწრაფით იდის მთაგრეხილებისაკენ გაეშურა. ოქროს ფაფრიანმა ცხენებმა სისწრაფით გაიტაცეს ოლიმპოსის მფლობელი იდის მთაგრეხილებისაკენ, საცა ერთ-ერთს მაღალს მთაგრეხილზედ ხშირს ფიჭვნარში ამართული იყო ზევსის პატივსაცემლად საკურთხეველი, ღმერთების მამათ-მთავარმა გააჩერა თავისი მალი ეტლი ამ ფიჭვიანში და მაღლობიდან თავს დაჰყურებდა აქეველებისა და ტროადელების ბანაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა სამკვდრო-სასიცოცხლო დილა. მზემ [illegible] ნათობელი სხივები მორცხვად გადმოაშუქა აქეველებისა და ტროადელების ბანაკს. მცველებმა მოკრძალებით გააღეს ტროადის ალაყაფის კარები, საიდანაც გამოვიდა ტროადელების მხედრობა ცხენიანი და ქვეითი. სწორედ ამ დროს ელლინთა მხედრობაც ბრძოლის ველისაკენ მოეშურებოდა. ტროადელების მხედრობის რიცხვი გაცილებით უფრო ნაკლები იყო აქეველთა მხედრობაზედ. თუმცა ასე რიცხვ-მცირენი იყვნენ, მაინც ტროადელების მეომრები გაბედულად და მამაცად იკრიბებოდნენ ბრძოლის ველზედ სრულიად დაიმედებულნი, რომ თუ მედგრად და მამაცურად შეებრძოლებით მოსისხლე მტერს, ჩვენს ცოლშვილს უეჭველად განსაცდელისაგან დავიხსნითო.

ორივე მოწინააღმდეგე მხედრობა პირის-პირ წარსდგა და, მთავარსარდლების ბრძანებით, ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახა. საზარელი სურათი გადიშალა ამ დროს ბრძოლის ველზედ. მეომრები თავ-განწირვით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე იარაღს ხელს არ აშორებდნენ. საერთო ხმაურობა, ცხენების თქარა-თქური და ჭიხვინი, მეომრების ყიჟინი, დაჭრილთა კვნესა და ოხვრა ბრძოლის ველს ჯოჯოხეთად ჰქმნიდა. სისხლის ნაკადულებმა ერთიანად მოიცვა ბრძოლის საზარელი ველი. მთელი დილა ორივე ლაშქარი განუწყვეტლივ ებრძოდა ერთმანეთს, იერიში იერიშზედ მიჰქონდათ ერთმანეთზედ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ სძლია, ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. მეომრები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას განაგრძობდნენ.

უკვე შუადღემაც მოაღწია. ღმერთების მამათ-მთავარმა ზევსმა, რომელიც ბრძოლის ველს დაჰყურებდა იდის მთაგრეხილებიდან, აიღო ხელში ოქროს სასწორი და ერთ ჯამზედ დასდო „სიკვდილის მხვედრი“ ტროადელებისა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეზედ „სიკვდილის მხვედრი“ აქეველებისა. ღმერთებს მამათ-მთავარმა სასწორის ულელს მოჰკიდა ხელი შუა ადგილას. სასწორის ჯამი, რომელზედაც ზევსმა დასდო „სიკვდილის მხვედრი“ აქეველებისა მიწამდის დაიხარა, ხოლო ტროადელების „მხვედრი“ კი ცათამდის აიწია.

ოლიმპოსის მფლობელი სასწორის ესეთის გადახრის შემდეგ სასტიკად განრისხდა და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, იდის მწვერვალოდგან გადისროლა აქეველების ბანაკში თავისი ელვასავით სწრაფი ისარი. შიშის ზარმა აიტანა მთელი მხედრობა აქეველებისა. ზევსის მიერ მძლავრად ნატყორცნმა ისარმა ჯოჯოხეთის გენია დაატრიალა ელლინთა მხედრობაში. ელლინთა მხედრობა შეშინდა მით უფრო, რომ თითქმის ყველა საუკეთესო სარდლები უკუ იქცნენ ბრძოლის ველიდან.

ტროადელებმა, რომელთაც ძლევა-მოსილი ჰექტორი მთავარსარდლობდა, ისარგებლეს აქეველთა მხედრობის შეშფოთებით, მოიკრიბეს უკანასკნელი ძალ-ლონე და გაორკეცებულის მხნეობით შეებრძოლნენ მტერს. ელლინთა მხედრობა ვერ უმკლავდებოდა ტროადელების გამხნევებულს მეომრებს და თან და თან უთმობდა ბრძოლის ველს და თავის ხომალდებისაკენ იწევდა.

ჰერა ქალღმერთი ოლიმპოსის მწვერვალიდან დაჰყურებდა აქეველთა მხედრობის დამარცხებას და გული მწუხარებით ევსებოდა. ჰერამ დაუყონებლივ მოიწვია ღმერთი პოსეიდონი და შეევედრა დახმარება აღმოეჩინა აქეველების მხედრობისათვის თავგასულ ტროადელების წინააღმდეგ. ჰერას განსაკუთრებით ის უკლავდა გულს, რომ ტროადელების მეომრები მეტად უშვერს სიტყვებით იხსენიებდნენ აქეველებს და დაცინვით ერეკებოდნენ ხომალდებისაკენ. პოსეიდონმა ვერ გაჰბედა ოლიმპოსის მბრძანებელის სიტყვის გატეხა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერა ქალღმერთს უარი განუცხადა აქეველების დახმარებაზედ.

ტროადელების მთავარ-სარდალი ჰექტორი თავის ძლევა-მოსილ მხედრობით თან და თან უფრო უახლოვდებოდა აქეველების ბანაკს და მათ ხომალდებს. ბრძოლის ველი ავსებული იყო დახოცილთა გვამებით. ჰექტორი ის იყო აქეველების ხომალდების დაწვას და განადგურებას ემზადებოდა. სწორედ ამ დროს ჰერა ქალღმერთმა შეაგონა ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალს აგამემნონს გაემხნევებინა აქეველთა მხედრობა თავგასულ ტროადელების საწინააღმდეგოდ. ძლევა-მოსილი ელლინთა მთავარ-სარდალი, ჰერა ქალღმერთის შეგონებით, გაეშურა ხომალდებისაკენ, ავიდა ოდისევსის ხომალდზედ და ხმა მაღლა მიჰმართა შემდეგის სიტყვებით აქეველებს: „სირცხვილი თქვენ, აქეველების ძლევა-მოსილო მეომრებო! რა უყავით, სად დაჰკარგეთ თქვენ ოდესღაც სახელ განთქმული სიმამაცე! დიდებულო ოლიმპის მფლობელო, მაღალო ზევსო! რა დაგიშავეთ, რომ ასე მწარედ და სასტიკად დამსაჯე მე და ჩემი ძლევა-მოსილი მხედრობა! მე და ჩემი მხედრობა ხომ ყოველთვის დიდის პატივის ცემით ვიხსენიებდით შენს დიდებულს სახელს! ჩვენ ხომ ყოველთვის გულწრფელად მსხვერპლს ვწირავდით შენის ტაძრის საკურთხეველზედ!

დიდებულო და ყოვლად შემძლებელო ღმერთების მამათ-მთავარო! აღმისრულე ეს ჩემი უკანასკნელი სურვილი მაინც: მოგვეცი შეძლება, თავი დავაღწიოთ მოსისხლე მტერს და უვნებლად დავბრუნდეთ სამშობლოში!

ესე ევედრებოდა ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალი ოლიმპოსის მფლობელს, ყოვლად შემძლებელ ზევსს, და თვალთაგან ნაკადულებრ მდუღარე ცრემლი გადმოსდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზევსს შეებრალა აქეველთა მხედრობის მთავარსარდალი და დაიხსნა ელლინთა მხედრობა საბოლოოდ დაღუპვისა და განადგურებისაგან. ოლიმპოსის მფლობელმა, ნიშნად ლმობიერებისა, აქეველთა ბანაკში გადააფრინა იდის მთაგრეხილებიდან მძლავრი არწივი, რომელსაც თავის ბასრ კლანჭებში მაგრად ეჭირა ახალგაზდა ირემი. არწივმა ეს ახალგაზდა ირემი ელლინთა ბანაკში მიწაზედ ჩამოაგდო ზევსის ტაძრის მახლობლად.

ელლინთა მხედრობამ ახალგაზდა ირმის ზევსის ტაძართან ჩამოგდება კეთილ ნიშნად მიიმჩნია და გაორკეცებულის მხნეობითა და სიმამაცით მტერს შეებრძოლა.

ასტყდა კვლავ ცხარე ომი. ჰექტორი და მისი ძლევამოსილი მხედრობა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავ-განწირვით მტერს ებრძოდნენ. მოწინააღმდეგენი იშვიათის სიმამაცით იბრძოდნენ.

ოლიმპოსის მფლობელი მაინც ტროადელების მხარეზედ იყო და კიდევაც ამიტომ ჰექტორი გააფთრებულ ლომივით მძვინარებდა მტრის ლაშქართა შორის და არავის არ ინდობდა. აქეველების მდგომარეობა მეტად საშიშარი იყო.

ჰერა ქალღმერთი ოლიმპოსის მწვერვალოდან დასცქეროდა აქეველების განადგურებას და გული სიბრალულით ევსებოდა. ჰერამ ვერ მოითმინა და ათინა ქალღმერთს სთხოვა, აქეველებს დაჰხმარებოდა.

ათინა ქალღმერთი დასთანხმდა ჰერას წინადადებაზედ. ჰერამ დაუყონებლივ შეაბმევინა ფეხმალი ცხენები ეტლში და ათინასთან ერთად გაეშურა ოლიმპოსის მწვერვალოდან აქეველების დასახმარებლად.

ზევსმა, მოჰკრა თვალი თუ არა იდის მთაგრეხილებიდან ბრძოლის ველისაკენ მიმავალ ჰერასა და ათინას, გაგზავნა მათ დასაწევად თავისი შიკრიკი ირისი ქალღმერთი. ოლიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოსის მბრძანებელი მეტად უკმაყოფილოდ დარჩა ქალღმერთ-თების ურჩობით და ფიცხლავ განკარგულება გასცა, დაუ-ყონებლივ ოლიმპოსზედ დაბრუნდით, თორემ სასტიკად დაგსჯით ურჩობისათვისო. ჰერა და ათინა შეშფოთდნენ ზევსის მრისხანებით და დაუყონებლივ დაბრუნდნენ ოლიმ-პოსზედ.

ღმერთების მამათ-მთავარიც გაემგზავრა იდის მთაგრე-ხილებიდან ოლიმპოსის მწვერვალოზედ. ზევსი შევიდა თავის სასახლეში, საცა უკვე თავმოყრილი იყვნენ ყველა უკვდავნი ღმერთნი, ჩამოჯდა თავის ოქროს ტახტზედ. მრავალ გრეხი-ლებიანი ოლიმპოსი ერთიანად შეიძრა, როცა ყოვლად შემ-ძლებელი ღმერთების მამათ-მთავარი ჩამოჯდა თავის ოქროს ტახტზედ. ოლიმპოსის მფლობელმა მრისხანე სახე მიიღო. უკვდავნი ღმერთნი შიშით ცახცახებდნენ. ყველანი სდუმ-ნენ და ხმის ამოღებას ვერა ჰბედავდნენ. ათინა და ჰერა ზევ-სის მოშორებით ისხდნენ და საერთო მდუმარებას არ არღვე-ვდნენ. ღმერთების მამათ-მთავარმა საყვედურის კილოთი მი-ჰმართა ღმერთებს და, სხვათა შორის, აღნიშნა, ყველა ღმერ-თები სავსებით არ ასრულებენ ჩემს ბრძანებასაო. ჰერამ ვერ მოითმინა ესეთი საყვედური და აშკარად გაუმჟღავნა ყოვლად შემძლებელ ღმერთების მამათ-მთავარს თავისი გულის ნადები აქეველების გამოსარჩლებისა.

ოლიმპოსის მფლობელი ამის შემდეგ მრისხანედ მიუბ-რუნდა ჰერას და შეჰნიშნა:

„კარგად უნდა იცოდე, რომ ელლინთა მხედრობა ხვა-ლაც უფრო მეტს დამარცხებას განიცდის. ძლევა-მოსილი ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალი მანამ არ შედრ-კება, სანამ ელლინთა მხედრობა კვლავ არ მოიწვევს აგამე-მნონის მიერ შეურაცყოფილ გმირთა გმირს აქილევსს. გან-გებისაგან ასეა გადაწყვეტილი და ამიტომ შენი წუხილი და მრისხანება უნაყოფო და ულადგილოა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალამდა. ღამის წყვდიადმა შეაწყვეტინა მტრებს თავ-
განწირული ბრძოლა. ბრძოლის ველი, რომელიც საღამო
ჟამს უამრავ გვამებით იყო მოფენილი, დაცარიელდა და ირ-
გვლივ სამარისებური მყუდროება ჩამოვარდა.

ელლინთა და ტროადელთა მხედრობა ბრძოლის ველის
მახლობლად დაბანაკდა იმ აზრით, რომ მეორე დღეს გაუ-
თენებლივ ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ შებრძო-
ლებოდნენ.

ა. მიქაბერიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

უებარი საშუალება უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად

(ფრანგულიდან)

ერთხელ ინგლისის ცნობილ ფილოსოფოს კლარკს ჰკითხეს: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ ყველასთან კეთილი მეგობრობა იქონიოს და აყალ-მაყალს და შეტაკებას ასცდეს.

— ამისათვის უებარი წამალია, ვინმე რომ გაგიჯავრდეს, მიანებე მაშინადვე თავი და ყურადღებას ნუ მიაქცევ! — უპასუხა კლარკმა.

კლარკის ეს სიტყვები დღეს ინგლისში ყველას საანდაზოდ გახდომია. როდესაც ცილობა ჩამოვარდება ჩვეულებრივად, კეთილგონებიანი ეუბნება მოწინააღმდეგეს: შეჩერდი, ადამიანო, მოიგონე გონიერ კლარკის სიტყვები და მიანებე თავი მოწინააღმდეგეს, როდესაც ის ჯავრს შეუპყრია და გააფთრებულმა არ იცის, თუ რა მოიქმედოს და რას ეცეს.

ეს სიტყვებიც საკმარისია, რომ მოწინააღმდეგენი დაიშალონ. განათლებულ ინგლისის ქვეყანაში გონიერ კლარკის სიტყვები მტკიცედაა დაცული და ყველა ვალდებულად რაცხს თავს იგი აასრულოს.

ს. ცომაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი



მე-9 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, სჯდა მტირალი წყლისა პირსა.

რედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

მესამე ხანის მეექვსე

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალის ხელმძღვანელობის უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**